საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცქვაა, ფაფიოლებით და ჭოჭოებით ბუჩთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 21 ივლისი. 2016 წ. №135 (8027), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

გისმენდით და ყურებს არ ვუჯერებდით!..

რა სამართალი, რის სამართალი! მერე რა, თუ კრიტიკას ხან შეურაცხმყოფელი ხასიათი აქვს! მერე რა, თუ წინა ჩარეცხვის პროცესი ოდესის გუბერნატორმა ახლა ტვინების გამორეცხვის პროცესით შეცვალა!

შეუძლებელია, რომ ქვეყნის პრეზიდენტი, თანაც ფილოსოფოსი, ჯანსაღ კრიტიკას აშკარა შეურაცხყოფისგან ვერ არჩევდეს

ტელეარხს დავანებოთ თავი. მავან მოქალაქეს ყაჩაღმა მთავრობამ, აღზევების ჟამს, როცა ამქვეყნად მხოლოდ თვითონ იყო და თავისი ნაბადი, სახლ-კარი წაართვა, უსირცხვილოდ მიიჩემა. მაგრამ, მოგეხსენებათ, მუდმივი ამქვეყნად არც არავინ არის და არც არაფერია...

წინა ყაჩაღი მთავრობა ერთხელაც წესიერმა ხელისუფლებამ შეცვალა და გულზე ნაოცნებარი მუშტის ბრაგუნით შეჰპირდა ქვეყანას, რომ სამართლიანობას აღადგენდა, ანუ არავის შეარჩენდა ნაყაჩაღარ ქონებას და ყველა დაზარალებულს უკანვე დაუბრუნებდა.

ასე იყო ტელეარხ „რუსთავი-2“-ის შემთხვევაშიც. მიშა ყაჩაღმა კეთილსინდისიერ მესაკუთრეს ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშს ყველაფერთან ერთად ტელეარხი „რუსთავი-2“-ც წაართვა, როგორც ბიზნესმენ პატარკაციშვილს – ტელეარხი „იმედი“, და „იმედში“ გენერალურ დირექტორად თავისი ერთგული ყმა გიორგი არველაძე დანიშნა, ხოლო „რუსთავში“ (ცოტა მოგვიანებით) – უერთგულესი მონა ნიკა გვარამია.

ახალმა დროებამ უმალ ხელი ააღებინა ყაჩაღ მიშას „იმედზე“, რადგან ხელისუფლებაში მობრუნების მეტი იმედი „რუსთავი-2“-ზე დაამყარა და კეთილსინდისიერ მესაკუთრეს ქიბარ ხალვაშს ხვიშტი უჩვენა იურისტ ნიკა გვარამიას სახით.

და აი თურმე ეს სააკაშვილის ყურმოჭრილი და ტიკი-ტომარა ნიკა გვარამია თუ კეთილსინდისიერმა მესაკუთრემ ქიბარ ხალვაშმა შეცვალა, არა მარტო 2018 წლის 8 აგვისტოს არჩევნები ჩაიშლება და აღარ იქნება ლეგიტიმური, არამედ საერთოდ ქვეყანა დაგვექცევა თავზე, რადგან მიშას პირში ეს კონახურის კამფეტივით ნაწუწნი ნიკა გვარამია იგივე „რუსთავი-2“-ის ანტისახელმწიფოებრივი და ქვეყნისთვის ძირგამომთხრელი სარედაქციო პოლიტიკა ყოფილა.

ვუსმენდი „არჩევანში“ სააკაშვილის ელექტროკუდთან ჯულიეტოვნასთან სტუმრად მისულ ქვეყნის ფილოსოფოს პრეზიდენტს და ველოდი, ან ახლა იტყვის, ან ახლა, თუ სამართლიანობის აღდგენაზე მიდგა საქმე, ტელეარხი „რუსთავი-2“ თავის კუთვნილ მესაკუთრეს უნდა დაუბრუნდესო, მით უმეტეს, რომ მან უკვე რამდენჯერმე საქვეყნოდ განაცხადა, არხის სარედაქციო პოლიტიკა არამც და არამც არ შეიცვლებაო. ესე იგი, არხის კრიტიკული პათოსი იგივე დარჩებაო.

არა, ბატონებო, სამართლიანობის აღდგენის მომხრენო, პრეზიდენტ მარგველაშვილს ეს აზრი საერთოდ არც გაუხმიანებია. მან თითქმის თვალზე ცრემლმომდგარმა ილაპარაკა, „რუსთავი-2“ ჩემი უსაყვარლესი არხიაო, უამარხოდ ვერც წარმომიდგენია ჩვენი სატელევიზიო ეთერიო. უკრიტიკო წინასაარჩევნო დროს მსოფლიო ლეგიტიმურად არ ჩაგვითვლისო და ფილოსოფიურად დაასკვნა, **თუკი სადმე ვისმეს ოდესმე მედიის წინააღმდეგ უბრძოლია, იმის საქმე კრახით დამთავრებულაო.**

ასე იქნება ახლაც, როგორც ხალვაში არ გაიცვლება გვარამიაში, ისე გვარამიას ვერ შეცვლით ხალვაშითო.

ერთი სიტყვით, ჩვენმა ფილოსოფოსმა პრეზიდენტმა სულ ფეხებზე დაიკიდა სამართლიანობის აღდგენა და გაბუნიას „არჩევანში“ თავისი ურიგმარიგოდ მეტყველი პირი ნაციონალთა სასარგებლოდ ერთხელ კიდევ ჩაიტკბარუნა სააკაშვილისგან არაერთხელ გამწარებული ქიბარ ხალვაშით.

რა სამართალი, რის სამართალი! მერე რა, თუ კრიტიკას ხან შეურაცხმყოფელი ხასიათი აქვს! მერე რა, თუ წინა ჩარეცხვის პროცესი ოდესის გუბერნატორმა ახლა ტვინების გამორეცხვის პროცესით შეცვალა!

ასე რომ, ამ წინასაარჩევნოდ საქართველოში აჩრდილი დადის, აჩრდილი საკაანთ ბიჭისა, ოღონდ ამჯერად სანდრა ელისაბედ რულოვსის სახით!

ევროპაზე მეტად გადემოკრატებული ხელისუფლება კი ისევ ძველი ქართული სიდარბაისლით ინძრევა.

რა დროს ბრძოლა და შეტევაა?! საქმეში ხარ?!

ერთი სიტყვით, ამ ჩვენს ფილოსოფოს პრეზიდენტს „ცრუსთავი-2“ ნაციონალებთან ერთად ნამეტანი ნაყვარება.

გურამ წიკლაური

კიევში ცნობილი ჟურნალისტი პავლო შერემეტი დაიღუპა

ავტომანქანა, რომლითაც 44 წლის ჟურნალისტი მგზავრობდა, კიევის ცენტრში აფეთქდა.

გამოცემა „უკრაინსკა პრავდა“, სადაც შერემეტი მუშაობდა, იუწყება, რომ მანქანა ეკუთვნოდა გამოცემის ხელმძღვანელს ელენა პრიტულეს, რომელიც აფეთქების მომენტში მანქანაში არ იმყოფებოდა. როგორც აფეთქების ადგილზე, რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტთან საუბარში, „უკრაინსკა პრავდის“ ვებსაიტის მთავარმა რედაქტორმა სევგილ მუსაევა-ბოროვიკმა განაცხადა, შერემეტის კოლეგები ვარაუდობენ, რომ ჟურნალისტის დაღუპვა მის პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება.

პავლო შერემეტმა ჟურნალისტის კარიერა ბელორუსიის ტელევიზიაში დაიწყო. 1998-დან 2008 წლამდე მუშაობდა რუსეთის ტელევიზიის პირველი არხის სპეციალურ კორესპონდენტად. მას გადაღებული აქვს რამდენიმე დოკუმენტური ფილმი. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შერემეტი კიევში ცხოვრობდა და მუშაობდა „უკრაინსკა პრავდასა“ და რადიოსადგურ „ვესტიში“.

* * *

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს პავლო შერემეტის ოჯახს და უკრაინელ კოლეგებს.

„ყუმბარა“ მატროსოვიდან

3

წერა-კითხვის უცოდინარ ვანოს ცხელში ქართული უსწავლია?!

ტაბიძის ქუჩის მცხოვრებთა თეთრად ნათევი ღამეები

4



კერპების მსხვრევა ნიკეაში

10

გიზო ზარნაძე: რითი გვჯობისართ, რითი?!

6



პრემიერის გზავნილი ხარაგაულიდან

„მინდა, ყველა თქვენგანს ვუთხრა, დაგარწმუნოთ, რომ ჩვენთვის, ჩვენი მთავრობისთვის, თითოეული ადამიანი, მისი ტკივილი, მისი სიხარული ყველაზე მნიშვნელოვანია“, — აღნიშნული განცხადება პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ხარაგაულის მოსახლეობასთან შეხვედრისას გააკეთა.

პარტიის თავმჯდომარემ რაიონულ ცენტრში შეკრებილ მოსახლეობას ხარაგაულისა და ბაღდათის გაერთიანებული საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი **კობა ლურსმანაშვილი** წარუდგინა.

„კობა გახლავთ აქაური კაცი. თქვენიანია, ყველაზე კარგად იცის თქვენი ტკივილი, სიხარული და ის იქნება თქვენი ყველაზე კარგი, ხმამაღალი ხმა საქართველოს პარლამენტში“, — ასე აფასებს გიორგი კვირიკაშვილი კობა ლურსმანაშვილს. მთავრობის მეთაურმა მოსახლეობას სიტყვით მიმართა.

„ჩვენ ამ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, რაც შევძელით ყველაზე მთავარი ეს იყო, რომ თავისუფლება მივეცით თითოეულ ადამიანს საქართველოში. მოვსპეთ შიში, ხელისუფლების შიში, რომელიც მუდმივად პრობლემა იყო ბოლო პერიოდის განმავლობაში. მაქსიმალურად მოვეფერეთ, რაც კი შევძელით ადამიანებს, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებთ იმ პროგრამებით, რომლებიც ჩვენ დავიწყეთ — სოფლის მეურნეობის წახალისების პროგრამები, ჯანდაცვის პროგრამა. ყველა ჩვენგანმა საკუთარ გულში ჩავიხედოთ — მართლაც არის თუ არა ის მნიშვნელოვანი, რომ დღეს ადამიანს აღარ უწევს სახლის დაგირავება, სხვადასხვა სახით სესხის აღება იმისათვის, რომ საკუთარი თუ საკუთარი ოჯახის წევრის სიცოცხლე გადაარჩინოს. დამეთანხმებით, რომ ეს ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არის შორს ჯერ კიდევ იმისგან, რაც ჩვენ გვინდა ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი მოსახლეობისთვის“.

* * *

მთავრობის მეთაურმა სიტყვით გამოსვლისას ინფრასტრუქტურული პროექტების მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება. **„გვაქვს ძალიან მკაფიო გეგმა, რომ 4 წლის განმავლობაში 2020 წლის ბოლომდე ჩვენ დავასრულოთ ყველა სატრანზიტო მაგისტრალი და ძირითადი გზები, რომელიც რაიონულ ცენტრებთან თუ ტურისტულად მიმზიდველ ადგილებთან დააკავშირებს ერთმანეთს. ეს არის ასევე მმართველობითი რეფორმა, რომელიც მთავრობას გახდის უკვე მომსახურებაზე ორიენტირებულს, რომ მთავრობა აღარ იყოს ბიუროკრატია, როგორც ასეთი, არამედ ეს იყოს მომსახურების მიმწოდებელი მოქალაქეებზე, კომპანიებზე თუ ბიზნესმენებზე. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც უკვე დავიწყეთ ჩვენ, პარლამენტმა უკვე მიიღო საწყისი პაკეტი კანონმდებლობის და ჩვენ გავაგრძელებთ ყველაფერს ამას იმისათვის, რომ თითოეულ ოჯახში მივიდეს სიკეთე, სითბო, სიყვარული...**

ჩვენ შევძელით, რომ ბოლო პერიოდში დაგვემშვიდებინა ქვეყანა. ახლა ჩვენი მიზანია რომ სწრაფი განვითარება უზრუნველყოთ და ამისთვის ჩვენ გვაქვს ჩამოყალიბებული პროგრამა“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ხარაგულის მოსახლეობას სიტყვით ასევე მიმართა „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ. კახა კალაძის თქმით, 8 ოქტომბერს ყველა ერთად ვიზეიმებთ იმ გამარჯვებას, რომელსაც ჰქვია „ქართული ოცნების“ წარმატება. როგორც პარტიის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, ეს იქნება არა მხოლოდ პარტია „ქართული ოცნების“, მისი მხარდამჭერების, აქტივისტების გამარჯვება, არამედ, ეს იქნება სრულიად საქართველოს გამარჯვება, რადგან პარტია „ქართული ოცნების“ გამარჯვება პირდაპირ კავშირშია ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების კეთილდღეობასთან.

ახალი ტერმინალი შავ ზღვაზე

შავი ზღვის **სანაპიროზე ამიაკის საექსპორტო გადატვირთვის ტერმინალის აშენება იგეგმება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს იმ ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ განუცხადა, რომლის თანახმად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) კომპანია „რუსთავის აზოტს“ 155 მილიონი დოლარის ოდენობის დაფინანსებას გამოუყოფს.**

პროექტის განხორციელებისთვის, „საპარტნიორო ფონდს“ თადარიგი უკვე დაჭერილი აქვს. გარდა ამისა, EBRD-ისგან მიღებულ დაფინანსებას „რუსთავის აზოტი“ ამიაკის წარმოებაში ახალი კომპონენტის ჩართვისთვის გამოიყენებს. ამასთანავე, ხდება „რუსთავის აზოტის“ მრავალი წლის წინათ აშენებული ქარხნის სრული მოდერნიზაცია და აბსოლუტურად თანამედროვე სტანდარტებზე გადაყვანა.

პრემიერის შეფასებით, ეს არის კომპლექსური პროექტი, რომელიც იწყება 155 მილიონით, თუმცა მისი მასშტაბი გაცილებით დიდია.

„ეს არის უპრეცედენტოდ დიდი ტრანზაქცია კერძო სექტორში. კავკასიაში, მოლდოვასა და ბელარუსში EBRD-ის დირექტორის ბრუნო ბალვანერას განცხადებით, უკვე წელს, ივლისამდე ინვესტირებული თანხები სამჯერ აღემატება მთლიანად 2015 წელს ევრობანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებს. შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, იზრდება ქვეყნის ექსპორტის პოტენციალი და ეროვნული ვალუტისთვის ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ასევე, ეს არის თანამედროვე ტექნოლოგია, რომელიც გარემოს დაცვის ყველა სტანდარტთან შესაბამისია“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

შედეგები, რომლითაც ჩვენ ანკარიდან ჩამოვედით, მართლაც სასიხარულო და მისასალმებელია!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი თურქეთში ვიზიტს, რომლის ფარგლებში ხელი მოეწერა ხუთ შეთანხმებას, „უპრეცედენტოდ წარმატებულს“ უწოდებს.

როგორც კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა თურქეთთან თვისობრივად ახალ საფეხურზე გადავიდა. მისივე თქმით, ქართულმა მხარემ გამოხატა მხარდაჭერა თურქეთში დემოკრატიისადმი და დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლებისადმი.

თურქეთი საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია

თურქეთში საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა შეხვედრა გამართა თურქეთის ეკონომიკის მინისტრთან ნიჰათ ზეიბექჩისთან.

შეხვედრის დასაწყისში საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა ღრმა მწუხარება გამოხატა თურქეთში განვითარებული უკანასკნელი მოვლენების გამო და საქართველოს მთავრობის სახელით, მიუსამძიმრა გარდაცვლილთა და დაშავებულთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობები კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ეკონომიკური თანამშრომლობა ორ მეზობელ ქვეყანას შორის. მისი თქმით, თურქეთ-საქართველოს თანამშრომლობა არის თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მეზობელმა ქვეყნებმა გამოიყენონ ერთმანეთის პოტენციალი საკუთარი ხალხის კეთილდღეობის გასაზრდელად.

შეხვედრაზე საუბარი წარიმართა ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების შესახებ. აღინიშნა, რომ თურქეთი უკანასკნელი წლების განმავლობაში წარმოადგენს საქართველოს ნომერ პირველ სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას.

შეხვედრაზე ითქვა, რომ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი რამდენიმე წლის წინათ ხელმოწერილმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებამ, რომელიც უკვე დღეს თანამედროვე გამოწვევებს ვეღარ პასუხობს და აუცილებელია მისი განახლება. როგორც აღინიშნა, საქართველოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, თურქეთის მხრიდან განხილულ იქნას ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაცია ისეთ პროდუქციაზე, როგორიცაა: თაფლი, ღვინო, ცოცხალი პირუტყვი, ხორცი, ყურძენი, ჩირი, ჩაი, ხილის წვენები, ბოსტნეული და ა.შ. ეს ხელს შეუწყობს ქართული წარმოშობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდას თურქეთის ბაზარზე.

დიმიტრი ქუმსიშვილის ინფორმაციით, დღეს საქართველოს ექსპორტი თურქეთში დაახლოებით 189 მილიონი აშშ დოლარია, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების განახლების შემდეგ კი ექსპორტი 200 მილიონით გაიზრდება.

პირველი ვიცე-პრემიერის განცხადებით, ქართულმა მხარემ თურქეთთან მიაღწია შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, თურქული ნედლეულის საქართველოში გადამუშავების შედეგად, შესაბამის სქემით დამზადებული პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე დაბეგვრის გარეშე შევა. დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, აღნიშნული სქემა, იგივე დიაგონალური კუმულაცია საქართველოს მისცემს საშუალებას, შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები და განვითარდეს ახალი დარგები.

ოქტომბრის ბოლომდე ახალი საპენსიო კანონმდებლობა გვექნება

პირველი ვიცე-პრემიერის, ეკონომიკის მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის ინფორმაციით, ამჟამად კანონმდებლობის შექმნაზე მუშაობა მიმდინარეობს.

„ჩვენ, თუ არ ვცდები, ოქტომბრის ბოლომდე გვაქვს ვადა კანონმდებლობის შექმნისთვის. რაც შეეხება თვითონ სტრუქტურის, ანუ ფონდის შექმნას, რომელშიც თანხების აკუმულირება მოხდება და შემდგომ უკვე ამ თანხების ინვესტირება, რა თქმა უნდა, ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის. მას შემდეგ, რაც კანონი დაიწერება, მათ შორის ფონდის დებულება გაიწერება, მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ და რა მიმართულებით მოხდება ფონდიდან ინვესტირება. ერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია, გითხრათ, ამ წუთში რა შეთანხმებაც არსებობს, ისაა, რომ ჩვენც შევეცდებით, კერძო სექტორი ჩავრთოთ ამაში. ჩვენ საკმაოდ აქტიური კომუნიკაცია გვაქვს კერძო სექტორთან, მათ შორის, ბიზნესასოციაციასთან მუდმივ შეხვედრებს ვმართავთ. რა თქმა უნდა, ახსნა-განმარტებები იქნება მისაცემი როგორც კერძო სექტორისთვის, ისე თვითონ მოსახლეობისთვის“, — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მედიკამენტების ქვეყნის გარეთ გატანას სახელმწიფო ვერ ახერხებს!

ეკონომიკის **მინისტრის, პირველი ვიცე-პრემიერ დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, ჯანდაცვის სამინისტრო GMP-ის სტანდარტის შექმნაზე მუშაობს და ეს პროცესი მალე დასრულდება.**

როგორც ქუმსიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ჯანდაცვის სამინისტრო ჯი-ემ-პი-ს სტანდარტის შექმნაზე მუშაობს, რადგან აღნიშნული რეგულაციის არქონის გამო, სახელმწიფო მედიკამენტების ქვეყნის გარეთ გატანას ვერ ახერხებს.

„მედიკამენტების მწარმოებლებთან შეხვედრა გვქონდა რამდენიმე დღის წინ. დღეის მდგომარეობით, 500 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების მედიკამენტებია იმპორტირებული, C ჰეპატიტის გამოკლებით. ჩვენ ვხედავთ, რომ წლიდან წლამდე იზრდება ექსპორტი მედიკამენტების. ამ შემთხვევაში, ეს არის განსხვავებული შემთხვევა, როდესაც სწორი რეგულაციები ხელს უწყობს წარმოების განვითარებას, იმიტომ, რომ ამ რეგულაციის გარეშე რეალურად ვერ ვახერხებთ ქვეყნის გარეთ გატანას მედიკამენტების. ჯანდაცვის სამინისტრო მუშაობს ჯი-ემ-პი-ს სტანდარტის შექმნაზე, და შესაბამისად, მალე შეიქმნება“, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

წერა-კითხვის უცოდინარ ვანოს ციხეში ქართული უსწავლია!?

ყოფილი შს მინისტრი და პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი „ფეისბუქის“ საშუალებით ვრცელ წერილს ავრცელებს, სადაც მის საძმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხმაურება. წერილში საუბარია მომავალ საპარლამენტო არჩევნებზეც.

გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს აშკარად სხვისი დაწერილი ამ „ტრაქტატიდან“.

„ბოლო ორი წლის განმავლობაში, მე არ გამიკეთებია არც ერთი განცხადება და არ დამიფიქსირებია ჩემი პოზიცია თუ შეხედულება მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ჩემი დუმილი მხოლოდ ერთი მიზეზით იყო გამოწვეული: მე ველოდებოდი ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას — ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განაჩენს. 14 ივნისს გამოქვეყნდა სტრასბურგის სასამართლოს განაჩენი, რომლის მიხედვითაც პირველად საქართველოს ისტორიაში და მეშვიდედ სტრასბურგის სასამართლოს ისტორიაში, დადგინდა ხელისუფლების მხრიდან ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა.



სწორედ ეს მნიშვნელოვანი წარმატება მაძლევს საშუალებას, თამამად გავაგრძელო ჩემი ბრძოლა და შრომა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

დღეს პოლიტიკური პარტიების ლანდშაფტი სამ თანაბარ ჯგუფადაა დაყოფილი. ყველა დამოუკიდებელი და ავტორიტეტული კვლევა აჩვენებს, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართულ ოცნებას“ თანაბარი პოზიციები აქვთ, ხოლო სხვა დანარჩენი პარტიების რეიტინგების ჯამი, ორი ლიდერის მაჩვენებლების ტოლია. მოქმედი საარჩევნო სისტემა პარლამენტის წევრთა ნახევრის მაჟორიტარული სისტემით არჩევას ითვალისწინებს და თანაც 50%-იან ბარიერს აწესებს. არსებული რეიტინგები და წარსული გამოცდილება საშუალებას მაძლევს თამამად განვაცხადო, რომ მეორე ტურში თითქმის ყველგან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ან „ქართული ოცნების“ კანდიდატები იქნებიან. ამიტომ, ნებისმიერ შემთხვევაში, ერთი პარტია შეძლებს უმრავლესობის მოპოვებას და მიმაჩნია, რომ ეს პარტია გარანტირებულად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იქნება.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ უნიკალური მოვლენაა თანამედროვე ქართულ ისტორიაში. ამ მოვლენის მთავარი შემოქმედი, რა თქმა უნდა, მისი ლიდერი მიხეილ სააკაშვილია. მე მისი მეგობარი ვიყავი, ვარ და ყოველთვის ვიქნები და კმაყოფილი ვარ, რომ მასთან ერთად ბევრი შრომა და გამარჯვება მომიწია. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მიხეილ სააკაშვილი კიდევ ბევრ წარმატებას მიაღწევს, როგორც ქართულ, ასევე ევროპულ პოლიტიკაში.

...მე მიხარია, რომ ჩემი მეგობრები ყველა ფრონტზე ინარჩუნებენ ღირსებას, კვალიფიკაციას და შრომისუნარიანობას — იქნება ეს პარლამენტში, საზოგადოებაში, საერთაშორისო არენასა და ციხეშიც კი.

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ არაერთხელ განაცხადა, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისა და ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ, ანგარიშსწორებას და შურისძიებას არავის მიმართ არ ექნება ადგილი. მათ შორის არც მათ მიმართ, ვინც კანონის დარღვევით განახორციელა უამრავი ადამიანის დევნა, როგორც ლიდერების, ასევე პარტიის რიგითი აქტივისტების და საერთოდ ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ.

* * *

...**იმდენად** დიდი იყო სრულიად საზოგადოების სურვილი, მიეღოთ კარგი პოლიცია და იმდენად დიდი იყო ძველი და ახალი პოლიციელების მოტივაცია მოსწონებოდა საზოგადოებას, რომ რეფორმა ჩემთვის მოულოდნელად ძალიან სწრაფად და წარმატებულად განხორციელდა. გამოჩნდა უამრავი იდეალისტი, ღირსეული პოლიციელი, რომელმაც მოინდომა და, რაც მთავარია, დაიჯერა, რომ თვითონ არის ამ პროცესის ნაწილი და შემოქმედი. შედეგად მივიღეთ ის, რომ ყველაზე არაპოპულარული სახელმწიფო ინსტიტუტიდან, პოლიცია იქცა ყველაზე მაღალი ნდობის მქონე ორგანოდ. ამ პროცესში მე ერთი რიგითი ენთუზიასტი ვიყავი და ლომის წილი დამსახურება რამდენიმე ასეულ პოლიციელს ეკუთვნის, რომლებიც თავთავიანთ ფრონტზე ქმნიდნენ ახალ პრეცედენტებს. მათ თავი ამ პროცესის მთავარ მონაწილეებად ჩათვალეს და ამ პროცესში თვითრეალიზაცია მოახდინეს.

ქართული პოლიციის რეფორმა უნიკალური და საამაგალითოა. დღეს უკვე ბევრი სხვა ქვეყანა საკუთარ რეფორმებში ჩვენს გამოცდილებას იყენებს.

დღევანდელმა ხელისუფლებამ პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციისთვის მთავარი დარტყმა სწორედ არსებულ წარმატებულ სახელმწიფო ინსტიტუტებზე მიიტანა. ამ პროცესმა სერიოზულად დაზარალა და დააკნინა პოლიციის რეფორმის შედეგები. ბევრი ღირსეული პოლიციელი ჩამოაცილა რეფორმების პროცესს.

ყველაზე დასანანია, რომ დღევანდელ პოლიციელებს არა აქვთ განცდა, რომ ხელისუფლებისთვის რეფორმა პრიორიტეტულია. ვერ გრძნობენ ხელისუფლებისგან თანადგომას, ვერც მორალური და ვერც მატერიალური სახით. პოლიციელებს აქვთ განცდა, რომ დღევანდელი ხელისუფლება პოლიციას განიხილავს როგორც ბრძოლაში მოგებულ ნადავლს. პოლიციის რეფორმების შემოქმედებსა და მონაწილეებს, მათ მიმართ დაუფასებლობის განცდა აქვთ. მინდა, მათ მხნეობისკენ მოვუწოდო. მათი შრომის მიზანი ქვეყნის წინსვლა და საკუთარი თავის თვითრეალიზაცია იყო და ამ მხრივ მათ უკვე დიდ წარმატებას მიაღწიეს.

* * *

...**ნაციონალური** მოძრაობის დაშვებული შეცდომების ჩამოთვლას და მათ შეფასებას რამდენიმე გვერდი დასჭირდება. უფრო მეტიც, ჩემი საქმიანობის უფრო მეტი ნაწილი სწორედ შეცდომები იყო, რადგან რასაც მე ვაკეთებდი, ეს ყველაფერი სიახლე იყო და არ არსებობდა მსგავსი პრეცედენტები, მაგალითები და გამოცდილება, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მიმეღო გადაწყვეტილებები. ჩემი საქმიანობა უფრო კონსტრუქტორის საქმიანობას ჰგავდა, ვიდრე ხელოსნის, რომელსაც მზა ნახაზები და თვალსაჩინო მაკეტი აქვს. როცა ახალს აკეთებ, წინასწარ ყველაფრის გათვლა შეუძლებელია. ვიღაცა ყოველთვის პირველად იწყებს, რათა შემდეგ მისი გამოცდილება სხვისთვის მაგალითი იყოს. მე ვიცოდი, რომ ყველა სიახლე კრიტიკის ობიექტი ხდება. ეს არჩევანი შეგნებულად გავაკეთე და ერთი წუთითაც არ ვთვლი, რომ სხვა გზა უნდა ამერჩია. არსებობს გამოთქმა, რომ ბრძენი სხვის შეცდომებზე სწავლობს. მე არ მქონია ამ ფუფუნების საშუალება, რომ სხვის შეცდომებზე მესწავლა, რადგან არ მქონდა მსგავსი გამოცდილების მაგალითი და სწორედ საკუთარ შეცდომებზე სწავლა მიწევდა.

მიუხედავად ამისა, არ მქონდა უფლება, ჩემი შეცდომებით საფრთხის წინაშე დამეყენებინა ჩვენი წინსვლა და ქვეყნის განვითარება. ვთვლი, რომ უფრო მეტი მომეთხოვებოდა და მეტის გაკეთების საშუალება მქონდა. მეტი ყურადღება უნდა მიმექცია საზოგადოების მხრიდან ობიექტური კრიტიკისთვის. ბევრი ჩვენი კრიტიკოსი არ იყო რუსული პროპაგანდის ან კრიმინალური სამყაროს ინტერესების წარმომადგენელი. მათი დიდი ნაწილი საქართველოს პატრიოტი იყო და მათაც ჩვენსავით უნდოდათ განვითარებული და დემოკრატიული საქართველოს შენება. მათი კრიტიკის გათვალისწინება, მათთან აქტიური თანამშრომლობა, ჩვენი საერთო საქმის და ქვეყნის შემდგომ განვითარებას შეუწყობდა ხელს.

დღევანდელი ხელისუფლების რამდენიმეწლიანმა საქმიანობამ დიდი გაკვეთილი მომცა. ზუსტად ვიცი, რომ რასაც ისინი აკეთებენ, მსგავსი არავინ არასოდეს უნდა გააკეთოს და შესაბამისად, არც მე ვაპირებ ჩემი და მათი შეცდომების გამეორებას.

დღეს საზოგადოებას აქვს, როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური გამოცდილების შეფასების საშუალება. დარწმუნებული ვარ, საზოგადოება სწორ არჩევანს გააკეთებს“ ...

ჟოფენცარის ნაკვალევ

„ყუმბარა“ მატროსოვიდან

ახლოვდება არჩევნები და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას სულ უფრო უძლიერდება მუხლების ცახცახი. მართალია, გარეგნულად არ იმჩნევს, ვითომ კვლავაც რიხით ჩაჰყვირის მიკროფონში, მით უფრო თუ ტელეოპერატორმა ობიექტივი მიუშვირა.

მაგრამ ვითომ რიხი და გამარჯვების „რწმენა“ იმდენად ყალბი და იოლად შესამჩნევია, რომ არავინ ტყუვდება. ერთი კია: ამოქმედებული აქვთ ყველა რეზერვი, ყველა აქამდე ხელუხლებელი მარაგი. დაუღალავად ირჯებიან ცნობილი დემაგოგები დავით ბაქრაძე, გიგა ბოკერია, მისეილ მაჭავარიანი და სხვა მამალი ნაცები.

ახლა კი ბრძოლაში ჩართეს ციხეში მჯდომი „დიდი პოლიტპატიმარი“ ვანო მერაბიშვილი. ამ დღეებში ინტერნეტმა გაგვაცნო ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის „წერილი-ბომბი“ ციხიდან: „მე ცოტა ხანში მაინც დავტოვებ საპყრობილეს“. თავიდანვე ვიტყვი — ვანოს ციხეში წერა-კითხვა უსწავლია. გვახსოვს: ამ სამი-ოთხი წლის წინათ წერილის გამართულად წერა კი არა, დანაწევრებულად ლაპარაკიც კი უჭირდა. ეს გვაფიქრებინებს, რომ მას „საქმეში ჩახედული“, „სწავლული კაცები“ დაეხმარნენ, უფრო სწორად, დაუწერეს და ხელი მოაწერინეს.

ვანოს თუ მართლა სჯერა, რომ „ცოტა ხანში მაინც დატოვებს საპყრობილეს, ღმერთმა ხელი მოუმართოს. მაგრამ საქმე ის არის, თუ რისთვის დაიწერა ეს რელაცია. ვანო მკითხველს წარმოუდგება არა დანაშაულისთვის ციხეში მჯდომ პოლიციის მინისტრად, რომელიც „ორ გვამს“ ითხოვდა, არამედ დამჯდარ, ღრმა ანალიზის უნარის მქონე პოლიტიკოსად. უფრო სწორად, წერილის ავტორებს სურთ, რომ ასეთად წარმოჩნდეს...

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებამისაქცევია ამ კაცის ოპტიმიზმი, თურმე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება მას „საშუალებას აძლევს თამამად გააგრძელოს ბრძოლა და შრომა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ“. ნეტარ არიან მორწმუნენი!

როგორც ხედავთ, პოლიტიკურ ბრძოლაში თავით გადაშვებული ვანო თვლის, რომ მომავალ არჩევნებში „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართულ ოცნებას“ თანაბარი პოზიციები აქვთ და მიაჩნია, რომ მეორე ტურში უმრავლესობა გარანტირებულად ნაციონალური მოძრაობა იქნება. აქ ერთადერთი კითხვა ისმის: თუ ბატონ ვანოს ასეთი წინასწარჭვრეტის უნარი აქვს, ციხეში როგორ მოხვდა?

მარტო იმით ტრაბახი, უფრო სწორად თავის გამხნევება, რომ იგი მიხეილ სააკაშვილის მეგობარი იყო, არის და ყოველთვის იქნება, დიდი ვერაფერი ნუგეშია. ოღონდ ეს კია, შეიძლება იმედი იქონიოს, რომ ეს დიდი მეგობარი მალე გვერდით მიუჯდება მატროსოვზე, თორემ თავის დაიმედება „ჩემი მეგობრები ყველა ფრონტზე ინარჩუნებენ ღირსებას, კვალიფიკაციას და შრომისუნარიანობასო, ამაო იმედია! უფრო პირიქით!

ბატონი ვანო მკითხველს ვირეშმაკურად ასეთ სატყუარასაც უგდებს: ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ არავის მიმართ ანგარიშსწორებას და შურისძიებას არ მივმართავთო, პირადად ჩემში ჩემი მოწინააღმდეგეები მხოლოდ შეცოდების გრძნობას იწვევენო.

მტყუანის!..

შემდეგი სატყუარა ეშმაკმა ვანომ პოლიციას გადაუგდო: დღევანდელ პოლიციელებს განცდა აქვთ, რომ „დღევანდელი ხელისუფლება პოლიციელებს განიხილავს როგორც ბრძოლაში მოგებულ ნადავლს, მათ მიმართ დაუფასებლობის განცდა აქვთ(?!), მაგრამ, ძმებო, რამდენიმე თვეში რეგრესი დასრულდება და გეშველებათო. ანუ გავიმარჯვებთ და აბა თქვენ იცით, ამ გამარჯვებაში რა ქმედით წვლილს შეიტანთო. აკენკავს ვითომ დღევანდელი პოლიცია ამ საკენკს?

დასასრულ ვანო მერაბიშვილი დაშვებულ შეცდომებზე ლაპარაკობს. „გულწრფელად და ამომწურავად“.

„დღევანდელი ხელისუფლების რამდენიმეწლიანმა საქმიანობამ დიდი გაკვეთილი მომცა. ზუსტად ვიცი, რომ რასაც ისინი აკეთებენ, მსგავსი არავინ არასოდეს არ უნდა გააკეთოს და შესაბამისად, არც მე ვაპირებ ჩემი და მათი შეცდომების გამეორებასო“ — გულამოსკვნილი ბრძანებს ვანო მერაბიშვილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამჯერად, ანუ ოქტომბერში გამარჯვების შემდეგ, რა თანამდებობაზეც არ უნდა ვიხილოთ, იჯრაზე სულ ცოტა ოთხ გვამს მაინც მოითხოვს.

...„წერე, წერე, ჩემო ვანო, მტერს ესროლე ისარიო, ციხიდან თუ ვერ გამოხვალ, წერას მაინც ისწავლიო“...

ალექსანდრე ალექსიძე

მივმართავთ ბატონ დავით ნარმანიას, რომლის ყურამდეც აღწევს, ალბათ, ეს საშინელი ხმაური

ტაბიძის ქუჩის მცხოვრებთა თეთრად ნათევი ღამეები

საერთაშორისო ასპარეზზე ნებისმიერი ქვეყნის წონადობას უამრავი მდგენელი აქვს, მაგრამ მისი ეროვნული ღირსების უპირველესი და უმთავრესი მაჩვენებელი ისაა, თუ როგორ ზრუნავს ხელისუფლება თავისი მოქალაქეების სოციალურ და ყოველდღიურ ყოფაზე, მათ ჯანმრთელობაზე. იმის მიუხედავად, რომ ამ მხრივ ჩვენში არსებულ და ევროპაში დამკვიდრებულ ნორმებს შორის დღესდღეობით უზარმაზარი სხვაობაა, ბოლო დროს ამ მიმართულებით უამრავი რამ გამოსწორდა, რის დაუნახაობა უბრალო უმადურობა იქნებოდა. მაგრამ, რაც შეეხება, კერძოდ, სოციალური და, მით უმეტეს, ყოველდღიური ყოფის ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტს, ამ მხრივ არა თუ ევროპის, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცის თითქმის ყველა მოწინავე ქვეყანას ჩამოვრჩებით, რისი არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

ამ ჯერზე ლაპარაკი გვექნება თვალის ერთი გადავლებით ისეთ ბანალურ საკითხზე, როგორიცაა ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე დედაქალაქში ასე მომრავლებული კაფე-ბარებისა და რესტორნების მჩქეფარე ღამის ცხოვრებით გამოწვეული დისკომფორტი, რასაც უამრავი თბილისელი, ძირითადად ამ გასართობი ადგილების სიმრავლით ცნობილი უბნების მოსახლეობა უჩივის.

სადღეისოდ თბილისის ცენტრალურ ნაწილში ლაღი და, რაც იქაური მოსახლეობისთვის ყველაზე აუტანელია, ხმაურიანი (თან სამზარეულოს სურნელიანი!) ადგილი რამდენიმეა – ესაა ორთაჭალაში შარდენის ქუჩა და ბამბის რიგი მიმდებარე უბნებით, გიორგი ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქუჩა და თავისუფლების მოედნის მიმდებარე დადიანისა და ტაბიძის ქუჩების რაიონი. წინამდებარე პუბლიკაციის მთავარი თემაც სწორედ ტაბიძის ქუჩის მცხოვრებთა გასაჭირი გახლავთ, რომლის არსი რამდენიმე დღის წინათ რედაქციის სტუმარმა, ტაბიძის ქუჩის №3/5-ში მცხოვრებმა ბატონმა **ლევან მიროტაძემ** გაგვაცნო.

ორი სიტყვით რომ ვთქვათ, თბილისის ამ ერთ-ერთ უძველეს და ერთ დროს სიწყნარით გამორჩეულ უბანში, ქუჩის ციდა მონაკვეთზე რამდენიმე კაფე და რესტორანია, რომელთა კლიენტების ზედმეტად მხიარული ცხოვრება სამეზობლოს არც დღე, არც ღამე მოსვენებას არ აძლევს. ერთი შეხედვით, სულ ეს არის, მაგრამ ამის მიღმა ისეთი ვნებათაღელვა, ყოველდღიური ნერვების გლეჯა, რესტორატორთა განუკითხაობა და ხელისუფალთა გულგრილობა ან, კიდევ უარესი, უსუსურობაა, რომ აღშფოთებულმა კაცმა, რომლის მიღმა კიდევ რამდენიმე ათეული ოჯახია, რედაქციას მოგვაკითხა და გასაჭირიც გაგვიზიარა. კონკრეტულად ვითარების არსის გადმოსაცემად, გვინდა გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის №3/5, 7, 9, 11/11, 12, 14-ების მცხოვრებთა ერთ-ერთი საერთო განცხადების ნაწილი შემოგთავაზოთ, რომელიც მათ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის **ჯაბა სამუშიას** სახელზე შეიტანეს, ასლი კი მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს **ზაზა პაპუაშვილს** გადაუგზავნეს (აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ მსგავსი შინაარსის განცხადებები წლების მანძილზე სხვა ადრესატებსაც გაეგზავნა).

„მოგახსენებთ, რომ ზემოთ აღნიშნული ქუჩის მცხოვრებლები მესამე წელია (ისე კი ეს ამბავი თითქმის ათი წელია, გრძელდება – ო. ტ.), ჯანმრთელობისთვის საშიშ, გაუსაძლის გარემოში ვცხოვრობთ. ჩვენ მრავალჯერ, ინდივიდუალურად და კოლექტიურადაც, მივმართეთ ქალაქის შესაბამის სამსახურებს, საკრებულოს, პროკურატურას, სახალხო დამცველს, რომ ჩვენს ქუჩაზე რესტორან-კაფე-ბარების მუშაობით წარმოქმნილი პრობლემები მოეწესრიგებინათ და კანონის ფარგლებში მოექციათ, მაგრამ დღემდე ქმედითი ნაბიჯები არ ჩანს.

მეტიც, ჩვენი მდგომარეობა დღითი დღე მძიმდება. ძუჩის ვიწრო და მოკლე მონაკვეთზე განთავსებულ ექვს სახლში 13 კაფე-ბარ-რესტორანია გახსნილი... ზოგი რესტორანი ღამის 4-5 საათამდე ხმამაღალი მუსიკის თანხლებით ფუნქციონირებს. ხმამაღალი მუსიკა და ვიბრაცია ჩვენს ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, არ გვძინავს ღამე, არ გვაქვს ნორმალური მუშაობისა და დასვენების საშუალება. ქუჩის მცხოვრებლების ნაწილს ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუუარესდა ამ ბოლო პერიოდის განმავლობაში. ქუჩის ამ მონაკვეთის გადაკეტვამ მოგვცა მანქანებით გატენილი ქუჩა, რომელიც ავტოფარეხის ფუნქციას ასრულებს. ქუჩა გარყვნილების ბუდედ გადაიქცა. ხმამაღალი ბილწსიტყვაობა, კივილ-წივილი, ჩხუბი, სექსი მანქანებში, სადარბაზოებში, ეზოებში და ქუჩაში, წრეგადასული ურცხვობა, აგრესია ჩვენი ქუჩის ყოველდღიური ღამეული პრობლემებია, რაც ქუჩის მცხოვრებ არასრულწლოვანთა მორალურ მდგომარეობაზე ზემოქმედებს.

სახლის დაბრუნებას, რეკონსტრუქციების შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრას, დადგენილი სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასა და სხვ.

რედაქციაში ბატონ ლევან მიროტაძესთან საუბრისას, რომელმაც ტაბიძის ქუჩის მცხოვრებთათვის ყოფის სადღეისოდ შექმნილი აუტანელი პირობების შესახებ გაცილებით დაწვრილებით გვიამბო, მან ზემომოყვანილ განცხადებაში მითითებული ადრესატებისადმი რამდენიმე კოლექტიური განცხადების, ასევე იქიდან მიღებული პასუხებისა და სსიპ ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის ასლები გადმოგვცა. ამ უკანასკნელში კი, კერძოდ, აღნიშნულია:

„თბილისში, გ. ტაბიძის №3/5, ბინა №2-თან მიმართებაში, საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე განთავსებულ კაფე-ბარ „Nhite Lounge“-ს კუთვნილი ფართიდან მომდინარე მუსიკის ჟღერადობით გამოწვეული ხმაურის დონე (La-max) 23-სთდან 7 სთ-მდე პერიოდისთვის აღემატება (მეტია) დასაშვებ დონეს“.

ესაა, როგორც ვთქვით, პროფესიონალური დასკვნა, თავად ბატონ ლევან მიროტაძის თქმით კი, ხმამაღალი მუსიკის გამო ღამე დაძინება – უკვე ბგერითი ვიბრაციის შედეგად! – საგანგებოდ დაცობილი ყურებითაც კი შეუძლებელია!

რაც შეეხება ტაბიძის ქუჩის მცხოვრებთა არაერთი კოლექტიური თუ ინდივიდუალური განცხადების სხვა ადრესატებს, ისინი სხვადასხვა ფორმით, თუმცა კი შინაარსობრივად საკმაოდ ერთფეროვნად პირდაპირ ადასტურებენ თავიანთ მოთხოვნათა სამართლიანობას, ხაზს უსვამენ იმასაც, რომ **„სამოქალაქო კოდექსის“ შესაბამისად მეზობელი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრენი, გარდა კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობისა, ვალდებული არიან, პატივი სცენ ერთმანეთს... მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გაზის, ორთქლის, სუნის, ჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი, თუკი ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ქონებით სარგებლობაში... თუ მესაკუთრე მოვალეა ითმინოს ასეთი ზემოქმედება, მას შეუძლია, ზემოქმედების გამომწვევი ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია იმ შემთხვევაში, როცა ზემოქმედება აღემატება მოცემულ ადგილას ჩვეულებრივად მიჩნეული სარგებლობის და ეკონომიკურად დასაშვებ ფარგლებს“** (ეს გახლავთ ძველი თბილისის რაიონის გამგეობის პასუხი გალაკტიონ ტაბიძის №3/5 მცხოვრებლებს“, №12/167224-26, 27.12.2011 წ.).

„...მითითებული საკითხების გადაწყვეტა სცილდება მოცემული უწყების სამართლებრივი კომპენსაციის ფარგლებს“ (№39/52 /04-15/ 2903-12, 18.07.2013 წ.). მაგრამ, ამავე პასუხში ისიცაა აღნიშნული, რომ სახალხო დამცველის აპარატმა თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს შესაბამისი წერილით მიმართა, რომელშიც **„სთხოვა განემარტა, თუ რომელი უწყების უფლებამოსილებას განეკუთვნება ზემოთ აღნიშნულ განცხადებაში აღნიშნულ ფაქტებზე შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების განხორციელება“.**

წინამდებარე პუბლიკაციის ერთ-ერთ ყველაზე საგულისხმო პასაჟსაც სწორედ ახლა მივადექით: სახალხო დამცველის განსხვავებული პასუხი ტაბიძის ქუჩის მცხოვრებლებმა მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან მიიღეს, სადაც, კერძოდ, ნათქვამია: **„...მითითებული საკითხების გადაწყვეტა სცილდება მოცემული უწყების სამართლებრივი კომპენსაციის ფარგლებს“** (№39/52 /04-15/ 2903-12, 18.07.2013 წ.). მაგრამ, ამავე პასუხში ისიცაა აღნიშნული, რომ სახალხო დამცველის აპარატმა თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს შესაბამისი წერილით მიმართა, რომელშიც **„სთხოვა განემარტა, თუ რომელი უწყების უფლებამოსილებას განეკუთვნება ზემოთ აღნიშნულ განცხადებაში აღნიშნულ ფაქტებზე შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების განხორციელება“.**

აპარატის პასუხში შემდგომ ვკითხულობთ:

„...ქ. თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის №22 ბრძანებულებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამსახურის ძირითად ფუნქციებსა და ამოცანებს განეკუთვნება ზედამხედველობა მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად ხმაურის, ინსოლაციის და დასუფთავების განმსაზღვრელი სანიტარიული ნორმების დაცვა. ამასთანავე, საგულისხმოა ის გარემოება, რომ არც ზემოაღნიშნული დებულებით და არც სხვა ნორმატიული აქტით არ არის დაწესებული, თუ რა ზომების გატარების ვალდებულება გააჩნია სამსახურს, კერძოდ, არც ერთი ნორმატიული აქტით მას არ აქვს დელეგირებული რაიმე სანქციის გატარების უფლებამოსილება დარღვევის შემთხვევაში“.

აი, პატივცემულო მკითხველო, ასეთი გახლათ ის სამართლებრივი რეალობა, რომელშიც ყველანი ერთად ვიმყოფებით: **სამსახურს, რომელსაც საზოგადოებრივი თანაცხოვრების გარკვეულ ასპექტებზე კონტროლი აქვს დაკისრებული, მისი განხორციელების არანაირი ბერკეტი არა აქვს!**

მეტი ელიტური კორუფციის წყარო ნეტავ რაღა უნდა იყოს?!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ სამართლისა და სამართლიანობის ძიებაში ტაბიძის ქუჩის მცხოვრებთა მრავალწლიანმა ბრძოლამ ის შედეგი გამოიღო, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ პარლამენტში წარადგინა საკანონმდებლო ინიციატივა „საქართველოს ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომლებიც, კერძოდ, აღნიშნულ საკითხებს ეხებოდა.

— მინდა გითხრათ, რომ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა ცვლილებებს „მწვანე შუქი აუნთო“, ხოლო იურიდიული, ასევე შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტებზე აღნიშნული ინიციატივების საბოლოო ანგარიშით „ჩაგდების“ ერთ-ერთი აქტიური „შემოქმედი“ დეპუტატი გიგა ბოკერია გახლდათ, — ამბობს ბატონი ლევანი. — რა არის მისი ასეთი წინააღმდეგობის მიზეზი, ამის განმარტებას, ცხადია, ვერ გავაკეთებ, თუმცა ერთს კი ვიტყვი: ნამდვილად არ მინდა იმ პოლიტიკური ძალის მხარდაჭერა, რომელსაც ასეთი „ხალხის მსახურები“ ჰყავს, თუნდაც საბოლოოდ მიღებული შედეგის გამო: ბოლო წლებში ტაბიძის ქუჩაზე შექმნილი აუტანელი მდგომარეობის გამო ჩემსა და სხვა მოსახლეთა ბინების ფასი ლამის ერთი-ორად დაეცა! იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ვ. ხმალაძის თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომიტეტისადმი პასუხში კი, კერძოდ, ნათქვამია: **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1054, 25.01.2016) კენჭისყრის შედეგად საკანონმდებლო წინადადებამ ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, რის გამოც უარყოფილ იქნა“.** მოკლედ, საბოლოო ანგარიშით, სამოქალაქო კოდექსში აღნიშნული ცვლილებები არ შევიდა, საქმე ისევ მონუსხულ წრეზე დატრიალდა — კაფე-რესტორნებში ღამღამობით ზღვარგადასული ღრეობა გრძელდება, ადგილობრივი მცხოვრებლები კი ამის საფასურს საკუთარი ჯანმრთელობითა და ყოველ ცისმარე დღესა და ღამეს ნერვების გლეჯვით იხდიან. რა საშველი შეიძლება დაადგეს ტაბიძის ქუჩისა და სხვა ანალოგიური უბნების მცხოვრებთ საქმის უზენაესი სამართლებრივი განხილვის გარეშე, ძნელი სათქმელია. ამდენად, რედაქცია სავსებით იზიარებს უკიდურესად შეწუხებულ თანამოქალაქეთა აზრს, რომ ყველაფერს უკვე სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს, რადგან სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი, და თანადგომას უცხადებს მათ.

ოთარ ტურაბელიძე.
გივი ჯოლბორდის ფოტო

◎ სანქცია

არ შეასრულებ? დაჯარიმდები!

ბათუმის „რედისონის“ მფლობელ კომპანიას 18 საინვესტიციო პროექტი ჩამოართვეს

აჭარაში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ყაზახურ საინვესტიციო კომპანიას „აჭარა რიზორთს ჰოლდინგ ბი.ვი“-ს 18 ობიექტი ჩამოერთვა და სახელმწიფოს დაუბრუნდა. ამასთან „სილქ როუდ ჯგუფის“ შვილობილ კომპანიას სხვა 12 ობიექტზე განახლებული ვალდებულებებით ახალი კონტრაქტები გაუფორმდა. ობიექტების ჩამორთმევის მიზეზი კომპანიის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა გახდა, რომელიც მას 2006 წლიდან ჰქონდა. 30 ობიექტიდან კომპანიამ მხოლოდ ერთი — ბათუმის „რედისონი“ — ააშენა და მასში 50 მილიონი დოლარი ჩადო.

შენარჩუნებულ 12 ობიექტზე 2025 წლის 31 დეკემბრამდე ყაზახურმა კომპანიამ 30 მილიონი დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს.

როგორც აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში განმარტავენ, 30-ვე ობიექტი დატვირთული იყო საბანკო იპოთეკით, რაც 2014 წელს გაუქმდა და ხელშეკრულებაში ცვლილებები შევიდა.

შედეგად, „აჭარა რიზორთს ჰოლდინგ ბი.ვიმ“ სასტუმრო „მესხეთის“ ტერიტორიაზე ობიექტი 2020 წლის ბოლოს უნდა დაასრულოს. კომპანიამ ინვესტიციის სახით უნდა ჩადოს 11,5 მილიონი დოლარი.

კომპანიამ ინვესტიცია უნდა განახორციელოს ასევე ყოფილი სასტუმრო „ნარინჯის“ ტერიტორიაზე, ტურბაზის ტერიტორიაზე, მწვანე კონცხის ტერიტორიაზე, სადაც 6 ობიექტია მოქცეული. ახალი ხელშეკრულებით აქ კომპანიამ ჯერ განაშენიანების რეგულირების გეგმა უნდა წარადგინოს და 2020 წლის 31 დეკემბრამდე 6 ობიექტიდან ერთ-ერთზე 3 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელოს.

ყველაზე გრძელვადიანი ვალდებულება ყაზახურ კომპანიას ბობოყვათის პროექტზე აქვს, სადაც 15 მილიონი დოლარის ინვესტიცია უნდა ჩადოს და არანაკლებ 4 ჰექტარი ტერიტორია მოაწყოს.

რა აშენდება ამ ობიექტებზე, ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ამისთვის კომპანიამ თითოეულ პროექტზე განაშენიანების გეგმა უნდა წარადგინოს.

კომპანია „აჭარა რიზორთს ჰოლდინგ ბი.ვის“ ობიექტები 2006 წელს გადაეცა, თუმცა, ვალდებულება მხოლოდ ერთ — „ბათუმის რედისონის“ — შემთხვევაში შეასრულა. კითხვაზე, რატომ არ დაეკისრა კომპანიას სანქციები შეუსრულებელი ვალდებულებების გამო, აჭარის ეკონომიკის სამინისტროში „კომერსანტს“ პასუხობენ, რომ 2006 წლის ნასყიდობის ხელშეკრულებაში საჯარიმო სანქციები გათვალისწინებული არ იყო. განახლებულ ხელშეკრულებაში კი ვადების დარღვევასა და სხვა ვალდებულებების შეუსრულობლობაზე კომპანიის მიმართ საჯარიმო სანქციები გაიწერა.

გასული წლის ივნისში ყაზახური კომპანიის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობაზე კვლევა არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ გამოაქვეყნა. ორგანიზაცია აცხადებდა, რომ ნიდერლანდებში რეგისტრირებულ კომპანიას „აჭარა რიზორთს ჰოლდინგ ბი.ვი“-ს აჭარის შავი ზღვის სანაპირო ზოლის (ბათუმის, ქობულეთის) გასწვრივ მდებარე 21 ობიექტზე ვალდებულებებს არ ასრულებდა.

ორგანიზაციის ცნობითვე, კომპანია „აჭარა რიზორთ ჰოლდინგ ბი.ვი“ ხელშეკრულების გაფორმებამდე ერთი კვირით ადრე, ოფშორულ ზონაში დარეგისტრირდა.

როგორც ჩანს, 21 ობიექტი კომპანისთვის გადაცემული აქტივების არასრული ჩამონათვალია, რადგანაც აჭარის ეკონომიკის სამინისტროში 30 ობიექტზე საუბრობენ. კონკრეტულად რა დაუბრუნდა სახელმწიფოს უკან, ამის შესახებ ინფორმაცია „კომერსანტმა“ გამოითხოვა და მოგვიანებით შემოგთავაზებთ.

სალომე მეცხვარიშვილი

განახლებული წყალმომარაგების სისტემა ბოლნისში

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი ბოლნისის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს. ამჟამად, ბოლნისის მუნიციპალიტეტში მოსახლეობას წყალი 7-8 საათიანი გრაფიკით მიეწოდება, პროექტის დასრულების შემდეგ კი, ადგილობრივებს 24-საათიანი წყალმომარაგება ექნებათ.

წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში 1821 ოჯახს დაუმონტაჟდა წყლის მრიცხველები, მიმდინარეობს სამი რეზერვუარის სარეაბილიტაციო სამუშაოები, დაგეგმილია საქლორატორო ნაგებობის მშენებლობა.

პროექტი 2014 წლის სექტემბერში დაიწყო და მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება. სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 50 ადამიანია დასაქმებული და მათი უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეა. პროექტს ქართული კომპანია შპს „ჯავა“ ახორციელებს ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით.

საგანგებო სიტუაციების ახალი შენობა ამბროლაურში

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა ქალაქ ამბროლაურში შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს განახლებული შენობა გახსნა.

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ ძველი სახანძრო-სამაშველო შენობა გაარემონტა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია განახორციელა. ამბროლაურის სამმართველოს განახლებული შენობა ახალი, თანამედროვე ინვენტარითა და ტექნიკით აღიჭურვა, შეკეთდა სასწავლო კოშკურა.

გიორგი მღებრიშვილმა, სტუმრებთან ერთად, სამმართველოს გარემონტებული შენობა, სახანძრო-სამაშველო ტექნიკა, მეხანძრე-მაშველების სრული აღჭურვილობა და განახლებული ავტოფარეხი დაათვალიერა.

განახლებულ შენობაში 29 მეხანძრე-მაშველი და ადმინისტრაციის 5 თანამშრომელი მუშაობს.

შს მინისტრმა 4 მეხანძრე-მაშველი სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად და სანიმუშოდ შესრულებისთვის მადლობის სიგელებით დააჯილდოვა.

2015 წლიდან დღემდე, განახლდა და უახლესი ტექნიკით აღიჭურვა შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს 12 შენობა, აშენდა 1 ახალი ნაგებობა. მიმდინარე წლის ბოლომდე, 3 ახალი შენობის აშენება და 4 ძველი ნაგებობის რეაბილიტაცია იგეგმება.

ფონიჭალაში მრავალბინიან სახლს ამაგრებენ

ძველმო ფონიჭალაში, რუსთავის გზატკეცილის №8-ში, მრავალბინიანი სახლის კაპიტალური გამაგრება მიმდინარეობს. კრწანისის გამგეობის თანადაფინანსებით, გამაგრდება კონსტრუქციული ელემენტები და გამოიცვლება კანალიზაციის სისტემა.

ამ ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლები, წლების განმავლობაში, ავარიულ მდგომარეობაშია. მათი კაპიტალური გამაგრება გამგეობამ გასული წლიდან ეტაპობრივად დაიწყო. მსგავი სამუშაოები უკვე განხორციელდა რუსთავის გზატკეცილის №10-სა და №12-ში.

კაპიტალური გამაგრების პროცესს ადგილზე გაეცნო კრწანისის გამგებელი. გიორგი კოპალეიშვილი, რაიონის მაჟორიტარ დეპუტატთან, ბექა ნაცვლიშვილთან ერთად ადგილობრივ მცხოვრებლებსაც შეხვდა.



რითი გვჯობიხართ, რითი?!

უნდა გულწრფელად ვაღიარო, რომ პუბლიცისტური ოპუსების წერისას, ნამეტნავად მშველის ხოლმე, არც მეტი, არც ნაკლები – ანეკდოტები!

ბავშვობისდროინდელს ვიხსენებ.

ერთი მეექვსეკლასელი ბიჭუნა ეკამათება მეორეს: რო მეჭიმები, რითი მჯობიხარ, მითხარი! შენ რო ზუბრიაკი ხუთოსანი ხარ და მე – ოროსანი, ამით?! მითხარი, რითი მჯობიხარ, მამაშენი რომ მეცნიერებათა კანდიდატია, მამაჩემი კი – სპეკულანტი, ამით?! მითხარი-მეთქი, რითი მჯობიხარ? თქვენი ოჯახი რომ ორსართულიან კერძო სახლში ცხოვრობს, ხოლო, ჩვენ – ნაქირავებში, ამით?! მამაშენს რომ გასისინებული „ვოლგა“ჰყავს, მამაჩემს კი – „ზაპოროჟეცი“, ამით?! მითხარი ერთი, რითი მჯობიხარ! შენ რომ ღერძზე სალტოს აკეთებ, მე კი ტაიჭსაც ვერ ვახტები, ამით?! მითხარი ერთი, რითი ხარ ჩემზე უკეთესი?!

მოგეხსენებათ, ახლა წინასაარჩევნო ციებ-ცხელება იწყება. კი არადა, კაი ხანია, დაიწყო. ბჭობენ, აკეთებენ არარეალურ პროგნოზებს, ქილიკობენ, კიცხავენ, შიგადაშიგ ჭორავენ ერთიმეორეს, და ეს ყველაფერი მაინც ჩვეულებრივი, თანმდევი ატრიბუტიკაა, საერთოდ, არჩევნებისთვის.

ანუ, ადამიანურად არც მაინცდამაინც, მაგრამ ლოგიკურად, ეს გასაგებია.

თუმცა, არის ისეთი გამონაკლისიც, როცა პიარი არანაირ ლოგიკაში არ ჯდება.

მაგალითად, ნაცების ხმისჩახლეჩამდე მტკიცებით, **ბატონი ივანიშვილი** ოლიგარქია!..

ოლიგარქი კი ეწოდება ხელისუფლებაში მყოფ მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის მქონე პირს!..

ჯერ ერთი, არის თუ არა ივანიშვილი მონოპოლისტური კაპიტალის მქონე, კარგა ხანია, გარკვეულია (ყოველ შემთხვევაში, ფობსისთვის მაინც!).

მეორეც, ივანიშვილი როცა ნაცებს ასმევდა, აჭმევდა, აცვამდა, გზები გაჰყავდა, აღჭურვილობას უძენდა მაშინ არ იყო ოლიგარქი და, როგორც კი, ღვთის შეწევნით, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო ნაციონალების ხელისუფლებიდან ჩამოსაშორებლად, მას შემდეგ გახდა?!

არაფორმალურად მართავს ქვეყანასო!

რას გულისხმობთ ქვეყნის მართვაში? მთავრობა, არის შემთხვევა, აზრს ეკითხება ბატონ ივანიშვილს. ესაა არაფორმალური მმართველობა?! მაშინ, გამოდის, რომ ბოლო ნახევარი საუკუნე, ამერიკის პირწმინდად ყველა პრეზიდენტის დროს, ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი (გინდაც, არაფორმალური!) კისინჯერი ყოფილა!

გენიალურად მოიქცა ბატონი ივანიშვილი, როცა მალევე დატოვა პრემიერის პოსტი და არასამთავრობო ორგანიზაცია **„მოქალაქე“** დააარსა!

გახსოვთ, შარშანწინდელი სტიქიური მოვლენები, როცა კახელ მევენახეებს ყურძნის მოსავალი გაუჩანაგდათ? ისიც გაიხსენეთ, როგორ იტაცა ჯიბეზე ხელი ბატონმა ბიძინამ და მთლიანად (თუ გადაჭარბებულად არა!) დაუფინანსა, უკეთ, აუნაზღაურა ზარალი!

ხელისუფლებაში ყოფნისას ამის საშუალება, კანონით, არ ექნებოდა!

სეტყვით მიყენებული ზარალი წლეულს გაცილებით მეტია, საკონცერტო დარბაზისათვის 270 მილიონი ლარის გადამხდელი ქველმოქმედისგან, სავარაუდოა, აქცია განმეორდეს, ოღონდ, აჯობებს, გადაუჭარბებლად!..

რაღა თქმა უნდა, წინასაარჩევნო (და არა მხოლოდ წინასაარჩევნო!) კამპანიისთვის აწ უკვე აუგად მოსახსენიებელი „ნაციონალური მოძრაობაა“ საგანგებოდ გამზადებული!..

სხვათა შორის, მათ წარმატებით შეუძლიათ, ჩვენ მიერ ზემოთ გამოყენებული სტერეოტიპული ფორმულირებით „ეძგერონ“ **„ქართული ოცნების“** წარმომადგენლებს: „რითი გვჯობიხართ, რითი?!“

მაშ ასე, კამათს იწყებს ნაციონალების სახელით საყდართმნგრეველი **ბოკერია:**

– რითი გვჯობიხართ, რითი! ჩვენ რომ პროვოკაციას წამოვეგეთ და კონსტიტუციური კანონიერების აღდგენის მოტივით, ჩვენსავე ტერიტორიაზე, ჩვენსავე მოქალაქეებს და, „ზაადნო“, რუს მშვიდობისმყოფელებსაც, ცეცხლი გავუხსენით, ფაქტობრივად, რუს აგრესორებს მწვანე შუქი ავუნთეთ, ხოლო, თქვენი ხელისუფლება რომ აგრესორ რუსეთთან მშვიდობიან მოლაპარაკებაზე ქადაგებს დასავლეთის რჩევით, ამით?!

– ჩვენ დროს რომ გულის ოპერაციისთვის, შემთხვევა ყოფილა, გლეხს მარჩენალი ფური გაუყიდია, თანხა არ ყოფნია და ზედ იპოთეკური სესხიც მოუყოლებია, ხოლო, თქვენ რომ საყოველთაო-სამედიცინო დაზღვევა დააკანონეთ, ამით გვჯობიხართ?!

– ჩვენ რომ საქართველოს რკინიგზის თავკაცს, **აკაკი ჩხაიძეს,** ათი მილიონი ავართვით, სააკაშვილს რომ ხუთი მილიონი ახსოვდა, და ციხე ავაცილეთ, ხოლო, თქვენ რო ჩვენ მიერ ჩამორთმეულ ქონებას, ეტაპობრივად უბრუნებთ ხალხს, ამით გვჯობიხართ?!

– ჩვენ რომ შეწერილი ფულების ნაწილით ავტობანის გაყვანა წამოვიწყეთ და აღმაშენებლის პროსპექტი არაბულ ქუჩას დავამსგავსეთ, ხოლო, თქვენმა ოლიგარქმა მმართველმა რომ მარტო რუსთაველის თეატრის რემონტისთვის თერთმეტი მილიონი საკუთარი ფული დადო და, უფრო მეტიც, წმინდა სამების ტაძრის მშენებლობისთვის, თითქმის, ცხრა მეათედი ხარჯი გაიღო, ამით?!

– ჩვენი შუსუსუს მინისტრი, ბატონი **ვანო მერაბიშვილი** რომ, მორიგი სადამსჯელო ოპერაციის დროს, დიდი პრემიის ფასად, ორ გვამს საჯაროდ მოითხოვდა, ასევე, მისი კნეინას განაჩენით, უდანაშაულო სანდრო გირგვლიანს წამებით ამოხადეს სული, ან კორტებთან რომ სამი ახალგაზრდა „პრევენციულად“ ჩაცხრილეს, სერგო თეთრაძე და გია კრიალაშვილი „შემოაკვდათ ხელში“, ხოლო, თქვენ რომ კორცხელში ნიკანორ **მელიას** მიერ ოსტატურად დაგეგმილ პროვოკაციაზე წამოგაგეთ, ამით გვჯობიხართ?!

– ჩვენ რომ 2012 წლის არჩევნების დღეს, უკეთ, ღამით, ხაშურის ერთ-ერთი საარჩევნო უბნიდან ბიულეტენებით სავსე ურნა გავიტაცეთ და თქვენ რომ არჩევნების გაყალბების მცდელობაც არ გქონიათ საერთაშორისო დამკვირვებლების განცხადებით, ამით გვჯობიხართ?!

– ჩვენი ლიდერი, სააკაშვილი რო ჟურნალისტთან საუბრის დროს, იქადდა – მეტი საქმე არა მაქვს, **„ოცნებას“** გადავაბარო ძალაუფლება და აშენებული ქვეყანა დავანგრევინოო, ანუ აშკარად, მთელი მსოფლიოს გასაგონად, მათ შორის, მაკ კეინისა და ევროპარლამენტის უმრავლესობის, „მწვანეთა“ გასაგონადაც, ხოლო, თქვენმა პარლამენტმა (ჩვენ რადგან ბოიკოტის რეჟიმში ვართ, ამიტომ თქვენმა!) საგანგებო კანონი მიიღო არჩევნების გამყალბებელთა მისამართით, ამითი სჯობს „ქართული ოცნება“ „ნაციონალურ მოძრაობას“?!

– ჩვენ რო მევენახეებს კილო ყურძენში 30-დან 70 თეთრამდე ვუხდიდით, ხოლო თქვენი ოლიგარქი მმართველის აზრით, ლარზე ნაკლებს არ უნდა უხდიდეს ღვინის ქარხნები მოსახლეობასო, თქვენმა მთავრობამ ესეც არ იკმარა და დამატებითი სუბსიდირება შემოიღო, ამითი გვჯობიხართ?! ან, შარშანწინდელი სეტყვისგან დაზარალებულ კახელ მევენახეებს თქვენმა ოლიგარქმა, საკუთარი ჯიბიდან რომ გადაჭარბებით აუნაზღაურა ზარალი, ამითი გვჯობიხართ?!

– ჩვენმა ხელისუფლებამ რო ვერა და ვერ აუღო ალღო სოფლის მეურნეობას, მინერალური სასუქი რო 50 ლარამდე ავიდა, ხოლო, თქვენმა ხელისუფლებამ რომ მრავალწლიანი პროექტი შეიმუშავა და წარმატებითაც ახორციელებს, კერძოდ, უფასოდ უხნავს, უთესავს, მინერალური სასუქითა და შხამ-ქიმიკატებით სოფლის ფერმერებს, ამით გვჯობიხართ?!

– მართლა და მართლა, ბრმების შკოლა ხომ არაა, ხალხო? მართლაც რითი სჯობს „ქართული ოცნება“ „ნაციონალურ მოძრაობას“?!

სიახლოვით სიშორე?!

ოტია იოსელიანმა სიცოცხლის მიწურულს სატრფიალო ლექსების წიგნი გამოსცა – **„სიშორით სიახლოვე“**.

ჩვენს მრავალსაუკუნოვან პოეზიაში საკმაოდ ფესვგადგმული რეფრენია ტაეპი **„რაც უფრო შორს ხარ“**, ნაირ-ნაირი მოდიფიკაციით.

ლირიკოს პოეტს დიახაც ასე სჯერა: სატრფო რაც უფრო შორსაა, მით უფრო ებნევა თავ-გზა!

ვისაც პირველი სიყვარული მოხდილი აქვს, უთუოდ დამეთანხმება, ასე რომ გახლავთ. ჯოჯოხეთად მექცეოდა ხოლმე ზაფხულის არდადეგები – როდის დავინახავ ჩემს შეყვარებულს-მეთქი!..

თუმცა, რა მეპირველსიყვარულება, რა დროს სენტიმენტებია, როცა მშვენიერ გაზეთ **„ახალ თაობაში“** გადასარევი იუმორისტული მინიატიურა ამოვიკითხე!

ბრიუსელში თუ ამსტერდამში (რა ბედენაა, რომელში! მთავარია, სუპერდემოკრატიულ ევროპაში!) პოლიციის უფროსმა, არც აცია, არც აცხელა და ვიღაც მანდილოსანი გააუპატიურა!

რაღა თქმა უნდა, უჩივლა გაბახებულმა ქალბატონმა და, რა გგონიათ, ყოვლად მიუკერძოებელმა სასამართლომ მოძალადე პოლიციის მაღალჩინოსანს შვიდწლიანი პატიმრობა მიუსაჯა, ხოლო ნამუსახდილ მანდილოსანს – კაი სამი წელიწადი!..

შესაძლოა, დემოკრატიის ანაბანაში გაუთვითცნობიერებულ ჩვენებურ მოქალაქეს, წამოსცდეს, იმ საცოდავს რაღას ერჩოდნენო!

რას ჰქვია, რას ერჩოდნენ! რა უფლებით დაუკაწრა პირისახე ვნებამორეულ პოლიციის უფროსს?! დანებებოდა მორჩილად და მერე შეეტანა სარჩელი!..

ჭეშმარიტად ევროპული დემოკრატია თუ გინდათ, ესაა!

სანამ ამ მარტივ ჭეშმარიტებას არ გავიცნობიერებთ ერიც და ბერიც, მერწმუნეთ, კაციშვილი არ შეგვასუნინებს ევროკავშირში!

ჩვენთან კი რა ხდება? მეუღლე რომ ვინმემ გაგვიუპატიუროს კი არა, სხვანაირად რომ დათიროს, პოლიციის უფროსი რას მიქვია, თავად მისი დაღმა... აღმატებულება, ბატონი პრეზიდენტიც რომ ბრძანდებოდეს, ტერაქტს გავუშანსავთ!..

ამით რისი თქმა გინდაო? რისი და, შენ რომ ცალკე დამოუკიდებელი ერი გქვია, შენ რომ შენი სახელმწიფო გაქვს, შენი კანონმდებლობა და შენი ტრადიციები, გქონდეს, ვინ გართმევს, მაგრამ, თუ მოგესურვილა და ევროკავშირისკენ გაგექცა თვალი, მიბრძანდი, ოღონდ, იმ უვიცი ქალბატონივით არ მოიქცე!..

არადა, ამის სიმპტომები ნამდვილად შეინიშნება: 17 მაისის აწ უკვე ჩვენი ქვეყნისთვის თავისმომჭრელი მოვლენები გავიხსენოთ – რა დღე ვაყარეთ პედერასტებისა და ლესბოსელების ყოვლად მშვიდობიან აქციას დედაქალაქის ცენტრში! როგორ სასტიკად დავარბიეთ და ლამის ამოვხოცეთ ველურებივით!.. თვით ბატონი ექს-მერიც კი არ დავინდეთ, ხოლო, ტაბურეტმომარჯვებული სასულიერო პირის გაშმაგებული სიფათი, უმწეო ლესბოსელ გოგონას რომ დაედევნა ჩასაქოლავად, სი-ენ-ენმაც კი აჩვენა მსოფლიოს!

კიდევ კარგი, ორიოდე პირი მაინც დააკავა შუსუსუმ!.. ამაზედაც ერთი ვაიუშველებელი ატეხეს აგრესიულად განწყობილმა, დრომოჭმული ტრადიციების მიმდევარმა ტიპებმა, იმ გაუპატიურებული მანდილოსნისა არ იყოს, ამათ რაღას ერჩოდნენო!

რას ერჩოდნენ და, რა უფლებით შეეწინააღმდეგეთ გაუკუღმართებული სექსუალური ორიენტაციის მიმდევართო!..

კაცი კაცს კოცნიდა ტუჩებში და ქალი ქალს ეზასავებოდაო! რატომ უნდა უცქირონ ტელევიზორში ჩვენმა მცირეწლოვანმა და თუნდაც ზრდასრულმა შვილებმა ასეთ სიბინძურესო!..

აგაშენოთ „ტრადიციონალისტებო“, ღმერთმა! თვითონვე არ მიადექით ჩემ სათქმელს?!. აი, აქაა ძაღლის თავი დამარხული და, თუ ამოვთხრით და მოვისვრით, ყველაფერი ოკეით იქნება!

ანუ, კი არ უნდა დავარბიოთ ყოვლად უწყინარი პედერასტები და ლესბოსელები, არამედ, შვილები მოვისვათ გვერდით და ავუხსნათ, რომ მამაკაცი მამაკაცთან არ უნდა სექსაობდეს (თუ ეს სიტყვა ეუცხოოთ, ვუთხრათ, რისი სინონიმიც არის!), ხოლო ქალიშვილმა მეორე ქალიშვილს ენის წვერით ძუძუ არ უნდა ულოკოს!..

სტოოპ, სტოპ, სტოპ!

აქ რატომღაც მახსენდება ერთი სასეირო ამბავი.

დიდ გალაკტიონს მიაწერენ ასეთ ონავრულ გამოხდომას: საყვარელი მეუღლის გადასახლების შემდეგ, როცა გვარიანად დაუძმობილდა ალკოჰოლს, მწერალთა კავშირის გამგეობა იძულებული გამხდარა, საგანგებო დადგენილება მიეღო – პოეტ გალაკტიონ ტაბიძისთვის ალკოჰოლის მიღების აკრძალვის თაობაზე!..

ამით გაბრაზებულ გალაკტიონს, ერთხელაც, გვარიანად შეზარხოშებულს, მწერალთა კავშირის ერთ-ერთი მდივნისთვის შინ დაურეკავს.

ესა და ეს ბრძანდებით, ძამიკო? მე გახლავართო! ჰოდა, შენი ცოლი და შვილიო, შენი კეთილებიო...

შეცბუნებულა, რაღა საკითხავია, მდივანი (ცოლ-შვილი უსმენდა!) და ჩაულაპარაკნია: მდაა... და...

დაიც გყავს, ძამიკო? ჰოდა, ის შენი დაცო!..

გაანჩხლებულ მდივანს მეორე დღესვე მოუწვევია პრეზიდიუმის სხდომა, მთვრალმა გალაკტიონმა დამირეკა შინ და ცოლ-შვილი და კეთილები მაგინაო!

გამოიძახეს თურმე საქართველოს სახალხო პოეტი, სასწრაფოდ გამოცხადდითო! ამასაც არ დაუხანებია და მორიდებით შეუღია კარი.

ცხონებულ სიმონ ჩიქოვანს უკითხავს: კაცო, გალაკტიონ, როგორ აკადრე შენს თავს ასეთი ხულიგნური საქციელი, რატომ აგინე ამ კაცს ცოლ-შვილიო!

– როგორ გეკადრებათ! მე ნამდვილად დავურეკე მაგას, გამარჯობა ვუთხარი და ცოლშვილსაც მოკითხვა-მეთქი. მაგას ცუდად გაუგონია, თუ არა, მე როგორ გავუბედავდი და როგორ ვეტყოდი – შენი ცოლი და შვილი-მეთქი, შენი კეთილები-მეთქი?! დაიც გყავს? შენი დაიკოც-მეთქი! ცილს მწამებს, თორემ როგორ ვაკადრებდი, შენი ცოლ-შვილი-მეთქი...

– აქ მაინც გააჩუმეთ ეს კაცი, ხალხი არა ხართო! – უყვირია შეგინებულს.

რამ მომაგონა მაინცდამაინც ახლა ეს თქმულებადქცეული ნამდვილი ამბავი?

თურმე, უნდა მოვისვათ გვერდით ჩვენი ყმაწვილი გოგო-ბიჭები და დავუწყოთ ახსნა: ხომ ხედავთ, შვილებო, როგორ ტუჩებში კოცნიან დიდი კაცები ერთმანეთს და გოგოები როგორ ეზასავებიან ერთმანეთს-თქო?

„ეზასავებიან“ რას ნიშნავსო?

რას ნიშნავს და...

„აქ მაინც გააჩუმეთ ეს კაცი!..“



ასე რომ, პირიქით, გარყვნილებას გავუპიარებთ ჩვენსავე ნაგრამთ!

„დიაღაც, აგრე უნდა მოიქცეთ, თუ გსურთ, ჭეშმარიტ ევროპულ დემოკრატიას გაუგოთ გემო!“ – ჩურჩულებს მაცილი ქირქილით.

ფუი ეშმაკს და ჯვარი აქაურობას!..

გიზო ზარნაძე

◎ ᲚᲔᲥᲡᲘ – ᲨᲔᲢᲔᲕᲐᲖᲔ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲓᲐᲜ

„რაც იყო – იყო, რაც არის – არის“

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ მუდამ დარჩება ქართული პოეზიის მშვენებად. ის უკვე რამდენიმე წელია, ჩვენ გვერდით აღარ არის, მაგრამ ის მაინც ჩვენ გვერდით არის და სამშობლოს კეთილდღეობისთვის განაგრძობს სიცოცხლეს თავისი სულისმიერი პოეზით. განა არის ლექსის ისეთი მოყვარული, ვისაც გულს არ უფანცქალებს თამარ ერისთავისეული შოტლანდიელი ბერნსის „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“, არც პოლიტიკური ლირიკა იყო თამარისთვის უცხო. ამის ნათელი ნიმუშია „ცრუ პოლიტიკოსების სმენისას“, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

ᲪᲠᲣ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲛᲔᲜᲘᲡᲐᲡ

სადღაც ხსნა არის,
თქვენ რომ ფიქრობთ,
ოღონდ იქ არა!
ჩვენს სალამურზე
აღარ მოდის
ხარი წიქარა –

რომ შეამტვრიოს
ცხრაკლიტული,
არ ჩანს არავინ;
გულგრილობაა ტყვეობაზე
გულშემზარავი,

და ხალხისთვის
სატყუარა
კოჭის გორება,
და სიტყვის ფანდით
ბაზალეთის
გადიდგორება...

მწამს, მიწისქვეშა
საქართველოს
რომ ჩვენი არ შურს,
ვინ მოახტება
იმ ბედაურს,
ვინ ეტყვის აჩუს –
ოდიშიდან რომ
შეგვჭიხვინებს
და უხმობს მხედარს...
სინდისისათვის
თავს რომ სდებდეს,
ვინმეს თუ ხედავ!

თუმცა მე ერთი
უძველესი
ანდაზა მახსოვს –
შავ ღრუბელსაც კი
ვერცხლისფერი
სარჩული აქვსო.

იქნებ ველოდოთ
მგორავ კოჭის
დაჯდომას ალჩუდ,
და შავი ღრუბლის
დაპირებულ
ვერცხლისფერ სარჩულს...

მანამ კი, მანამ,
ეს ქვეყანა,
სულ ერთი ბეწო,
გავიგოთ ფეხქვეშ,
ვაბურთაოთ,
ვთქვლიფოთ და ვწეწოთ.

ვისთვის მზიანობს
ცისქვეშეთი,
და ვისთვის კუშტობს...
ფუი, ყასიდად
ფუყე მკერდზე
დარტყმულო მუშტო!



ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚ ᲞᲝᲔᲢᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲕᲐᲨᲐᲧᲛᲐᲫᲔᲡ ᲡᲐᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲓᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ.

ᲒᲗᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲡᲐᲢᲘᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲗᲝᲡᲘᲗ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚ ᲛᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲡ, ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲕᲠᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲔᲮᲛᲘᲐᲜᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲝᲑᲐᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ – ᲚᲘᲠᲘᲙᲣᲚ ᲩᲐᲜᲐᲮᲐᲢᲡ, ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲕᲐᲨᲐᲧᲛᲐᲫᲔ

ᲡᲐᲓ ᲮᲐᲠ, ᲩᲔᲛᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ?

ერთმანეთის ჭამა-კვლაში
ვაღამებდით, ვათენებდით,
ტიკვები ვართ დაბერილი,
აღარა ვართ ქართველები.

საშოგამხმარ დიაცების
ქაქანი და გნიასია,
ამ ჩვენ მთა-ბარს ეს მკბენარი
ვინ ოხერმა მიასია!

ეკრანიდან ვნახე გუშინ
ძუძუების გადმოფრენა,
დუნდულების კორექცია,
დუნდულების გამოფენა.

მერე იყო... კნავილი და
ჩხავილი და... ბარდის ქია...
ტიკჭორების ქვეყანაში
თურმე ყველა არტისტია.

პარლამენტში – ყაყანეთში
სულ ერთმანეთს მუსრი ავლეს,
ამ გიჟებმა იმ ავსულებს
სახე დაუსისხლიანეს.

იყო ჟამი ... ცაში ვფრენდით,
მტერს და ორგულს მოვიფრენდით...
დღეს კი... გვმოძღვრავს ბატისტვინა
„სექსაობით“... „ბოიფრენდით“...

სად ხარ, ჩემო სამეგრელო?
ტაო-სამცხე-ჯავახეთო,
გურია და აფხაზეთო,
რაჭა-აჭარა-სვანეთო,
ჰერეთო და ხევსურეთო,
კლარჯეთო და ერუშეთო!

სად ხარ, ჩემო საქართველო?
მენატრები, რა ხანია!
ტანზე მუმლი მოგხვევია,
ირგვლივ სიცილ-ხარხარია!
გაიღვიძე, შემოგევლე!
გაიღვიძე, მიხარია!
მაცხოვრისკენ გაიხედე!
მჯერა, შეგვიწყალებს ღმერთი,
თორემ... დედა-საქართველოვ,
დაგერქმევა დუნდულეთი!

ᲩᲔᲛᲘ ᲢᲙᲑᲘᲚᲘ ᲑᲔᲑᲘᲔᲑᲘ

ᲩᲐᲜᲐᲮᲐᲢᲘ

აჭრიჭინებულა აგვისტოს ხვატი,
ჩემი ტკბილი, შაოსანი ბებიები:
ოლიე და აგრაფინე,
ქიონიე, პელაგიე,
ნიტრატოლე, ლეონინე,
დომნიკა და ნატალიე,
მინადორე, ეკვირინე,
პრისკილე და ტერეზიე,
ეპრასი და კალისტინე...
მუხის ჩრდილში პუტუნობენ, ფაჩუნობენ:
– ჩემო ოლია, კაი მოლია!
– შენმა დემურამ მსხალი მოლია?
– პელაგია, საკურთხისთვის, კანფეტები იყიდე?
– სად წევს ახლა ჩემი ბიჭი,
იგი მაინც ვიცოდე!
– ნატა, ძროხა რაფერაა, გამოგიჯაკელდა?..
– ბაბოს ბაბეტა ქორწილში ნახეთ?
ნატო ვაჩნაძეს უგავდა სახე!
– ხელდაუკარებელი ვიყავი, გოგო...
– ამაღლება, ქუთეისი არ მენახა.
–როგორ ცხელა, როგორ ცხელა.
მჭადი მზეზე გამოცხვება!
– თორმეტი წლისა გავთხოვდი,
დედამთილს ფეხთან ვუწექი.
– ბაზარშიც კი არ ვყოფილვარ...
– ქალაქიც კი არ მენახა, ისე ჩავბარდი ლუკას.
– კალმით ნახატი იყავი, მართლაც რომ ტკბილი ლუკმა.
– დუმბაძე გახსოვთ?.. ღობეები რომ მოარღვია?
– რამდენი ვინმე იყო სოფლად, გიჟი, თავღია!
– კაცს რომ ღიპი დეედება, უნდა დრუზო კეტი თავში,
– ეიყვანო საირმეში... მერე.. გადააგდო ხრამში.
– ამ მაროიას, ე რა ცუდი ფეხი ჰქონია!
– ქალი კი არა, შავი ქორია.
– ეგ ონისიმე რაფერაა, ერთი მითხარი!
– ქუდი მაჩუქა, თეთრი – მიტკალი.
– დღეს, ქიონია, შენ იქნები ჩვენი დარაჯი...
– რას გვეტყვი ახალს?
... და ბებიები იწყებენ ხარხარს...
ბაჩუნ-ბაჩუნ-ბაჩუნით,
ფუთებით და ხელჯოხების კაკუნით,
ჩემი ტკბილი ბებიები მდინარისკენ მიდიან.
– თედორიე, გუშინ, თურმე, ას ხუთი წლის გამხდარა.
– წამოგეღო, დომნა, შენი ბანტიანი გიტარა:
– „გოლოვინსკზე გოგო მიდის, ჭირიმე,
მტრედი მიდის, თეთრი მტრედი, ჭირიმე,
ისე მოკლე კაბა ეცვა, ჭირიმე,
მუხლებიც კი უჩანდაო, ჭირიმე,
ყველაფერი უჩანდაო, ჭირიმე...“
– ქიონია, არ დაგვღუპო,
თვალი არ მოგეხუჭოს!
– რაფერ ცხელა! რაფერ ცხელა!
აგერ, ჯამისარეცხელაც!
– კამკამაა, კამკამა, ჯერ არავინ ჩასულა!
– როგორ გავკრიალდებით!
– როგორ გავღვანჭალდებით!
– აგერ, ჩვენი გულჩინიე... ნადუღით და ჭადებით...
აგვისტოა, ცხელა, ცხელა,
გალობს ჯამისარეცხელა...

◎ ᲙᲐᲙᲐᲚ ᲒᲣᲚᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘ ᲑᲔᲠᲘᲐ ᲛᲝᲐᲠᲯᲣᲚᲔᲑᲓᲐ!

● ბათუმში ელექტროავტობუსი იმოძრავებსო. ნაციონალი აპროტესტებს, რას ჰგავს ეს, რეზინის ხელთათმანებით უნდა ვიმგზავროთო?

● ნაციონალების აყეფება ნარჩემაშვილზე გასაგებია, იმიტომ, რომ ის იყო ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი იმდროინდელი მინისტრი, რომელიც გვაფრთხილებდა – სააკაშვილის და ამ გუნდის ხელისუფლებაში მოსვლა არაფრით შეიძლება, ნაძირლები არიანო. აი, არანაციონალები რას ერჩიან, ეგ მაინტერესებს. გამწარებული სააკაშვილი რო ვერ დაგიჭერს, მინიმუმ ძალიან სუფთად გაქვს განვლილი თანამდებობრივი ეტაპები და რას ერჩით მართლა მაინტერესებს...

● ახლა რაღაც პარტიული ღონისძიება აჩვენეს, სადაც, უკანა პლანზე მოჩანდა პლაკატის ფრაგმენტი, რომელზეც იკითხებოდა გვარი – ჭულაძე. არ ვიცი, ვინაა და სად ვეძებო, თორემ ჭულაძეს დიდი სიამოვნებით მივცემდი ხმას.

● სადაა, თორემ, ერთადერთი „ახალი სახე“, ვინც დღეს საქართველოს მოარჯულებდა, ლავრენტი ბერიაა. თანაც, ტექნიკური სასწავლებელიც საზღვარგარეთ – ბაქოში ჰქონდა დამთავრებული.

● დაწყებული საარჩევნო კამპანიის დროს, საქართველოს პრეზიდენტმა არ იცის, არჩევნებში მონაწილე სუბიექტების გადანაწილება და უაზროდ გაკვირვებულ მიმიკას იღებს.

იძახის, რომ „რუსთავი-2“ მოსწონს და აშკარად არ უყურებს, თორემ ეს მაინც ეცოდინებოდა (აშკარად ენკი-ბენკის მაყურებელია).

ეს თუ პრეზიდენტია, მაშინ ჩემი მეზობელი მერაბა პოლიტიკის საერთაშორისო ექსპერტი ყოფილა და CNN-ზე პოლიტიკური თოკ-შოუ უნდა მიჰყავდეს. პრინციპში რაცაა, ისეთ ტელევიზიას აძლევს ინტერვიუს.

● ვფიქრობ, საყოველთაო პატივისცემის უმოკლეს ხანში გაფანტვის ნომინაციაში, გინესის რეკორდების უცილობელი ლიდერი პაატა ბურჭულაძე იქნებოდა.

● ოცნების სიის ზოგიერთი კანდიდატის დანახვაზე გომელაურის ლექსი ამეკვიატა:

ამ ქალაქში ყველაფერი მოსულაااა,
აქ ჯამლეტამ ბონდო დააორსულაااااა.

● როგორც უპირო გივი ამბობდა, ქურდები სკაიპით აკეთებენ საქართველოში კორონაციასო, ეგრე არა შვრება ეს ქინძიც? სკაიპით წარადგენს დეპუტატობის კანდიდატებს ქინძისთესლების წინაშე.

ᲐᲛᲝᲙᲠᲘᲑᲐ
ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ

ᲐᲥᲪᲘᲐ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡᲗᲐᲜ

„ᲐᲡᲐᲕᲐᲚ-ᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘᲡ“ და ტრისტან წითელაშვილის ბრალდებები დიპლომატიურ უწყებას.

ამერიკის საელჩოსთან მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი სამშობლო“ საპროტესტო აქციას აწყობს და აშშ-ის ელჩს მოუწოდებს შეწყვიტოს „ნაციონალური მოძრაობის“ მფარველობა, ხელის შეწყობა და რეაბილიტაცია. აქციაზე იმყოფებოდნენ „ასავალი-დასავალის“ ჟურნალისტები და სამხედრო ექსპერტი ტრისტან წითელაშვილი. მათ განაცხადეს, რომ თუ ამერიკის ელჩი არ შეასრულებს მათ მოთხოვნას, ფართომასშტაბიან აქციებს გამართავენ.

ᲮᲔᲚᲗᲝᲙᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲘᲡᲔ ᲛᲘᲕᲔᲩᲕᲘᲔ...

— ᲙᲐᲪᲝᲝ, მეჩვენება თუ განგებ იქცევი აგდებულად, — საყვედურობს კარის მეზობელი არხეინას, — რაღაც საარჩევნო სამზადისს ვერ გამჩნევ.

— ოქტომბრამდე ჯერ დიდი დროა, თანაც რა მომზადება მინდა, არჩევნების დღეს მივალ და ჩავაგდებ — დაარხეინებულია არხეინა.

— კი ჩააგდებ, მაგრამ ვის სასარგებლოდ ჩააგდებ, ხო უნდა იცოდე?

— რა მნიშვნელობა აქვს, მათგან, ვისაც ხმა უნდა მივცე, ყველას პირველკაცობა უნდა.

— იმათ კი, მაგრამ შენ თვითონ რა გინდა?

— არც მაგასა აქვს მაინც და მაინც დიდი მნიშვნელობა.

— რატო, კაცო, აბა ამდენ დაპირებებს ტყუილად იძლევიან?

— კი იძლევიან, მაგრამ მაგ დაპირებებიდან ასარჩევი არაფერია. კარგად შეხედე და დარწმუნდები, ძალიან ღარიბი არჩევანია.

— კარგი ერთი, დავიჯერო, საშენო ვერაფერი იპოვე?

— წარმოიდგინე, ვერა, ყველა ერთსა და იმავეს იმეორებს, — თუ ხმას მომცემთ, ბედსა გწევთ, სიღარიბის წუმპიდან ამოგათრევთ და უზრუნველად გაცხოვრებო.

— ჰო, ჩვენც მივცეთ ხმა, რა გვენაღვლება. სიღარიბიდან თუ ამოგვიყვანენ, ჩვენი უმაქნისი ხმა რატო უნდა დავიშუროთ?

— მაგრამ აეგ ვერ დავადგინე, იმათგან რომელი უფრო სწრაფად ამოგვიყვანს!

— ეგ რაღაში გჭირდება?

— მჭირდება. თუ ეგ დავაზუსტე, სწორედ იმას არ მივცემ ხმას, ვინც მაჩქარებს.

— რატო, კაცო, გამდიდრება არ გეჩქარება?

— არა. და საერთოდ, რატო არ მეკითხებიან, მე იქნებ სიმდიდრეს სულაც სიღარიბე მირჩევნია?

— გაგიჟდი, კაცო, ძლივს გამდიდრების შანსი გვეძლევა და ხელიდან რატო უნდა გავუშვათ?

— არ მინდა ძმაო, სიღარიბეს ისე მივეჩვიე, ამის შემდეგ გამდიდრება ძალიან გამიჭირდება.

— რას იზამ, რახან ამდენ გაჭირვებას გაუძელი, სიმდიდრესაც როგორმე ნელ-ნელა შეეგუები.

— მარტო შეგუება ხომ არ არის, სიმდიდრეს, ჩემო ძმაო, თან ათასი თავსატეხი ახლავს.

— რაზე ამბობ?

— როგორ თუ რაზე, ვერა ხედავ, სიმდიდრემ ივანიშვილი რა ხათაბალაში გახვია?

— მაინც, რა ხათაბალაში?

— ქვეყანას, ხალხს მილიონები დაახარჯა, მაგრამ უმადურების გული მაინც ვერ გაძღა — რასაც გვპირდებოდა, იმის ნახევარიც ვერ შეასრულაო(!).

— კაცო, შენ ივანიშვილს რას ედრები, იმას მილიარდები აქვს გასახარჯი და იმიტომ გაუჭირდა.

— მარტო მაგას რა უჭირს, შენ რო იცოდე, ყველა მდიდარი ღარიბზე ურო გაჭირვებულია.

— მასე თუ გეშინია, შენც ნუ გამდიდრდები, ძალას კი არავინ გატანს.

— ჰო მაგრამ, ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა მივიქცე, რომ არ ვიცი?

— მოიფიქრე რამე, ბოლოს და ბოლოს, ბიულეტენზე მიაწერე, რომ გამდიდრება არ გინდა. ის, ვისაც ხმას მისცემ, ნახავს და მოგეშვება.

— მასეც მოვიქცევი, მაგრამ ეს მსოფლიო ბანკი რომ არ გვეშვება?

— მსოფლიო ბანკს რაღას ერჩი?

— მაგას ვერჩი თუ ვერჩი, ამას წინათ საქართველო მაღალი შემოსავლების ქვეყნების რიგში ისე შეიყვანა, რომ მისი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს — ღარიბებს არაფერი გვკითხა.

— მაგათ, ეტყობა, ანალიზი იმათი შემოსავლების მიხედვით გააკეთეს, ვინც ხელისუფლებაში ყოფნის სიკეთით (გადიდებული პრემია-წანამატები) ტკბება.

— არ მომწონს ეგრე, — თავი გაქნია არხეინამ, — როგორც ვატყობ, ამ არჩევნებშიც ღარიბთა უფლებები ძალიან შეილახება.

— არც მასეა საქმე, როგორც შენ ფიქრობ, აი ნახავ, ღარიბები საქართველოში არჩევნების შემდეგაც ბლომად დარჩებიან.

— შენ მასე გეგონოს, აგე ბურჭულაძე იქადნება, მე თუ გავიმარჯვე, გპირდებით, ამ ქვეყანაში სიღარიბე წამლადაც ვეღარ გაიჭაჭანებსო. ასე არ შეიძლება, ძმაო, მე პირადად ვერ გამიგია, სიღარიბემ ისეთი რა დააშავა, რომ გაქრობით ემუქრებიან? ჩემი აზრით, თუ ევროატლანტიკური დემოკრატია გვინდა, სიღარიბეს არსებობის უფლება არ უნდა წავართვათ.

რაღა დაგიმალოთ და, არხეინას ნალაპარაკები მეც ჭკუაში დამიჯდა. ამ საუბრის შინაარსის გამოქვეყნებაც ამიტომ გადავწყვიტე. ემანდ სირცხვილი არა ვჭამოთ და ისე არა ვქნათ, რომ სიღარიბით მთელ მსოფლიოში განთქმულ საქართველოში ღარიბი კაცი სანთლით საძებარი გაგვიხდეს(!).

ᲝᲗᲘᲐ ᲩᲐᲠᲗᲝᲚᲐᲜᲘ

ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡᲙᲔᲜ...

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ კვირეულის ფარგლებში, ვიდეოსიუჟეტების კონკურსი „ნაბიჯი ევროპისკენ“ გაიმართა, — აცნობეს მედიანიუსს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან.

კონკურსის მიზანი იყო მოზარდებს გაეაზრებინათ ევროპული ინტეგრაციის მნიშვნელობა ქართულ თანამედროვე სივრცეში; გაეანალიზებინათ საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის როლი ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში; გამოეხატათ საკუთარი ხედვა და დამოკიდებულება ევროპული ფასეულობებისადმი.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ საქართველოს საჯარო და კერძო სკოლის საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შექმნილმა კომისიამ 25 ვიდეოსიუჟეტი განიხილა, რომელთაგან 8 საუკეთესო ვიდეორგოლი შეირჩა.

საკონკურსო პირობების მიხედვით I, II, III ადგილებზე გასული რგოლების ავტორი/ავტორთა ჯგუფი დაჯილდოვდნენ კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების საჩუქრე ბარათებით. დანარჩენი 5 ვიდეორგოლის ავტორს/ავტორებს (სულ 9 მოსწავლე) გადაეცათ წამახალისებელი სიგელები.

ამავე დღეს დაჯილდოვდნენ სლოგანების, სასკოლო წარმოდგენების/ფლეშმობებისა და კონცეფციების კონკურსის „ნაბიჯი თანადგომისკენ“ გამარჯვებულები. კონკურსის მიზანი იყო მოსწავლეებს გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება ძალადობის ნებისმიერი ტიპის მიმართ; დაფიქრებულიყვნენ იმ ადამიანებზე, რომელთა უფლებები შეზღუდული იყო ან დღესაც იზღუდება. ადამიანებზე, რომელთაც უწევთ დამცირების, ტკივილის, ძალადობისა და შეურაცხყოფის ატანა, ვინაიდან არ აქვთ თანატოლების, ახლობლების, საზოგადოების მხარდაჭერა და სხვ.

საქმე №1/57-2016

ᲡᲐᲐᲠᲑᲘᲢᲠᲐᲟᲝ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 15 ივლისი 2016 წელი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: თინათინ ასაბაშვილი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲙᲕᲘᲐ:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 5 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე თინათინ ასაბაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:
2014 წლის 16 აგვისტოს შპს „ნოვა კრედიტსა” და თინათინ ასაბაშვილს შორის დაიდო №081413579 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 930 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 3 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა — ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე თინათინ ასაბაშვილს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე თინათინ ასაბაშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე თინათინ ასაბაშვილი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე თინათინ ასაბაშვილს (პირადი №01015012921) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. თინათინ ასაბაშვილს განემარტოს, რომ: გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე თინათინ ასაბაშვილს ეცნობოს, რომ 2016 წლის 11 აგვისტოს 17:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით თინათინ ასაბაშვილის მიმართ.

5. თინათინ ასაბაშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲢᲐᲑᲐᲢᲐᲫᲔ

ᲛᲔᲢᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ, ᲨᲗᲐᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ

ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲖᲔ „ᲟᲐᲠᲒᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ“

ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡ წიგნი **„ᲟᲐᲠᲒᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ“** მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ონომასტიკური ლიტერატურისა, რომელსაც ლინგვისტებმა და შემფასებლებმა, ვფიქრობთ, რომ სავსებით სამართლიანად, უკვე უწოდეს „წიგნი – გამოსარჩლება“ (თამილა ზვიადაძე).

უპირველესად ეს არის მეტად მნიშვნელოვანი ონომასტიკური მასალა, რომელზეც მომავალში აუცილებლად დაიწერება არაერთი საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომი თუ პირწმინდა ლინგვისტური ხასიათის გამოკვლევები.

მეტსახელები ლექსიკის შენაკადია. ლექსიკის სიმდიდრე კი, ზოგადად, ენის სიმდიდრეა. ლინგვისტურად მეტსახელთა სისტემას ონომასტიკა იკვლევს.

ონომასტიკის ცალკეული საკითხებით საუკუნეთა მანძილზე არაერთი დიდი მოღვაწე და მოაზროვნე დაინტერესებულა; მიუხედავად ამისა, გამომდინარე კომპლექსურობის სპეციფიკიდან, ონომასტიკა შედარებით ახალგაზრდა დარგია მეცნიერებისა. როგორც დამხმარე სამეცნიერო დისციპლინას, ონომასტიკას მჭიდრო კავშირი აქვს მეცნიერების მთელ რიგ დარგებთან – ისტორიასთან, ეთნოგრაფიასთან, ლოგიკასთან, რელიგიასთან, გენეალოგიასთან, სოციოლოგიასა თუ გეოგრაფიასთან. დომინანტი კი ონომასტიკაში ყოველთვის არის ლინგვისტური კომპონენტი, რადგანაც ონომათა, საკუთარ სახელთა შესწავლა, უწინარეს ყოვლისა, მათი ენობრივი არსის გარკვევას გულისხმობს.

საკუთარი სახელის (სახელი, გვარი-სახელი, მეტსახელი) ანთროპონიმის არსის, რაობის საკითხით ისტორიის მანძილზე არაერთი მოაზროვნე დაინტერესებულა: **მილი, სტოელები, რომაელი გრამატიკოსები, დიომიდე, სუიტი, ესპერსენი, ბრეალი, დონატი, ტაგებაუ, კრისტოფერსენი, გარდინერი...** აყალიბებენ მთელ რიგ თეორიებს, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგოსაც კი, ენის ლექსიკურ ფონდში საზოგადო სახელებთან მიმართებით საკუთარ სახელთა მოტივაციის, ამოსავალშივე სემანტიკის ქონა-უქონლობის, სინონიმურობის, ინდივიდუალობის... შესახებ. თითოეული ამ თეორიათაგანი შეიცავს რაციონალურ მარცვალს და მიმართულია საკუთარი სახელის სპეციფიკის ახსნისკენ.

სხვადასხვა კონტინენტის სხვადასხვა ხალხთა შორის სახელდებაში შეინიშნება ბევრი რამ ღრმად ინდივიდუალური, თავისებური, ორიგინალური და ზოგადიცა და საერთოც, რასაც ენათმეცნიერებაში სახელდების ზოგად უნივერსალიებს უწოდებენ.

სახელდებაზე, საკუთარი სახელის განვითარებისა და გავრცელების პროცესზე უდიდეს გავლენას ახდენდა სხვადასხვა რელიგია და სარწმუნოება. არაერთ ხალხში არსებობდა ტრადიცია – სახელისათვის ღვთაებრიობისა თუ მისტიკურობის ელფერის მინიჭებისა, რომლის ერთ-ერთი გამოხატულებაცაა ტაბუირება, რომელიც ონომასტიკურ ლიტერატურაში ვრცლად აღწერა ფრეზერმა. ტაბუირებას ადგილი ჰქონია საქართველოს მთაში, კერძოდ ფშავ-ხევსურეთში, სადაც ცოლ-ქმრისთვის ერთურთის სახელის ხსენება სირცხვილად ითვლებოდა.

ქართველ ტომებში ძველთაგანვე გავრცელებული იყო ადამიანისთვის მეტსახელის, ანუ თიკუნის შერქმევა. მეტსახელის შერქმევისას, უპირველეს ყოვლისა, მიზანში იღებენ ადამიანის პირად თვისებებს, მისწრაფებებს, საქმიანობას, ფიზიკურ აღნაგობას... ამიტომ აქ გონებამახვილობასა და შემოქმედებას უსაზღვრო ასპარეზი ჰქონდა.

ონომასტიკურ ლიტერატურაში ითვლება, რომ სხვა სოციალურ ჯგუფებთან შედარებით, დღეს ყველაზე ხშირად პოლიტიკოსთა მიმართ იქმნება მეტსახელები, რომლებშიც სწორედაც რომ სარკესავით აირეკლება ხალხის დამოკიდებულება მათ მიმართ. პოლიტიკოსთა მეტსახელები კი ხშირად იმაზე მეტსაც გვეუბნებიან, ვიდრე მათ მიერ გაკეთებული საქმეები, მით უფრო საქართველოში.

ანთროპონიმთა ისტორია, რომელიც ხშირად შეიცავს ქაოსურ, შემთხვევით კაპრიზებსა და კურიოზებს (ვერდი, რუფო...), ადასტურებს „სახელებზე ნადირობის“ ფაქტებსაც: ახალ გვინეაში, პაპუასები, დაეცემიან რა მეზობელ ტომს, მოკვლის წინ ითხოვენ: „სახელი, თქვი შენი სახელი! ახსნა სახელები არ კმარა. მათი რწმენით, რამდენიც სახელია, იმდენივეა სულიც, და ტომის გამრავლებისთვის სახელთა მტაცებლობა აუცილებელია.

მორგანის ცნობით, ამერიკელ ინდიელებში საკუთარი სახელით მიმართვა ან სახელის კითხვა დიდ უხეშობას წარმოადგენდა. ცნობილია ასევე, რომ ესკიმოსების წარმოდგენით, ადამიანი არის ერთიანობა სხეულის, სულისა და სახელისა, რომელთაგანაც მხოლოდ სახელს ძალუძს გაექცეს სიკვდილს (ვ. ნიკონოვი).

ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში სახელი, შესაძლოა, სხვადასხვა ფუნქციით იხმარებოდეს. მაგ. ბიკი სახელია XVI საუკუნეში, მეტსახელია – XVII საუკუნეში, გვარია დღეს.

ევროპელთათვის სახელი თითქმის უცვლელია მთელი ცხოვრების მანძილზე. აფრიკის ხალხებსა და ჩინელებში კი გვხვდება „ბავშვობის სახელი“, „სასკოლო სახელი“... ადამიანს სახელი ეცვლება და ენიჭება ასაკის შესაბამისად.

ყოველ ეპოქას თავისი საკუთარი სახელები მოაქვს და იცვლება თვით ადამიანთა დამოკიდებულება მათ მიმართ. ეპოქა და კაცობრიობის განათლების დონე თავის დაღს ასვამს სახელს, როგორც **„ადამიანური კულტურის მთავარ პროდუქტს“ (სუპერანსკაია)**.

ყოველ სახელს აქვს თავისი ისტორია, „ბიოგრაფია“, გეოგრაფიული განფენილობა და ეროვნული კუთვნილება. რამდენადაც ძველია სახელი, რამდენადაც რთულ მოდიფიკაციებს გაუძლო მან ერთი ენიდან მეორე ენაში გადასვლის პირობებში, იმდენად უფრო რთულია დადგენა ამოსავალი საზოგადო მნიშვნელობისა, რომელიც საკუთარ სახელთა დიაქრონიული ასპექტის მეტად საინტერესო საკითხს წარმოადგენს.

ონომასტიკაში ანთროპონიმთა სრულყოფილი შესწავლა გულისხმობს ფართო კულტურულ-ისტორიული, გეოგრაფიული თუ სოციოლოგიური ხასიათის პრობლემების გადაწყვეტას, მაგრამ მნიშვნელობა-დანიშნულების, ფორმათწარმოების, სემანტიკისა და წარმომავლობის თვალსაზრისით საკუთარი სახელები ენაში განსაკუთრებულ სისტემათა შემქმნელი ლექსემებია, სპეციფიკური ნაწილია ენის ლექსიკური ფონდისა, რომლის ენათმეცნიერული შესწავლაც მოიცავს ორ ასპექტს:

ა) მისი ეტიმოლოგიის ამოხსნას;

ბ) მის სისტემატურ და სტრუქტურულ დახასიათებას.

ონომასტიკის შესახებ ამ მცირე ექსკურსის შემდგომ კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **როსტომ ჩხეიძის წიგნი „ᲟᲐᲠᲒᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ“** არის სრულიად ახალი სიტყვა, შეიძლება ითქვას, ახალი ეტაპი ქართული ონომასტიკის ისტორიაში.



წიგნის წაკითხვის შემდგომ მკითხველს, განსაკუთრებით წლების განმავლობაში საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჩაკარგულს, რჩება შთაბეჭდილება, რომ თურმე, შესაძლოა, ენათმეცნიერული ნაშრომიც კი იკითხებოდეს არა მხოლოდ ინტერესით, არამედ სასიამოვნოდაც, იყოს გულთმაამი.

ლინგვისტიკაში წარმმართველი ყოველთვის არის ინტერესი სიტყვის სტრუქტურა-სემანტიკა-ეტიმოლოგიისადმი, რაც თავისთავად გულისხმობს ლოგიკის კანონებისადმი, მკაცრი სამეცნიერო სტილისადმი ერთგულებას, მშრალი, მწირი ენათმეცნიერული ტერმინებისა და დასკვნებისადმი მორჩილებას. და ამაღლებულის, მშვენიერის, მეტაფორულის, სასიამოვნოს, საამოს... გარკვეულწილად გვერდზე გაწევას.

როსტომ ჩხეიძის წიგნში კი ყოველივე ეს ისეთი ჰარმონიულობით და ისე საინტერესოდ არის მოწოდებული და წარმოდგენილი, ისეთი მიზანდასახულობით, მაღალი გემოვნებით, დიდი ხნის ნაფიქრით, ნააზრევით შეზავებული, გამოსახული... რომ მკითხველი ძალაუნებურად ექცევა ტყვეობაში და უჩნდება სურვილი საკუთარი მშობლიური კუთხის ეს **უცნაური, შთამბეჭდავი „გამოსასარჩლებელი“** ენობრივი სამყარო უმალ თვითონაც შეკრიბოს იმავე პრინციპითა და გულმოდგინებით და საერთო ქართულს შეჰმატოს.

„ᲟᲐᲠᲒᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ“ ერთგვარ სახელმძღვანელო-გეგმადაც კი შესაძლოა მივიჩნიოთ ონომასტიკის საკითხებით დაინტერესებული ნებისმიერი ახალგაზრდა მკვლევრისთვის, ონომასტიკური მასალის ახალბედა შემკრებთათვის ... რამდენადაც ქართული ონომასტიკის ისტორიაში მოძებნილია სრულიად ახალი გზა, ახალი სტილი ჟარგონთა და მეტსახელთა „შთამბეჭდავი სამყაროს საკვლევად“, აქ გადამწყვეტი **„შემდგენელის ხელოვნება“** აღმოჩნდა. შემდგენელი კი დიდი შემოქმედი, ქართული ენის მოტრფიალე და ჭირისუფალი როსტომ ჩხეიძეა.

ხაზგასმით აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ როსტომ ჩხეიძის წიგნში „ჟარგონი და მეტსახელები“ ქართული ანთროპონიმიკის ერთ-ერთ სფეროსთან მეტსახელებთან დაკავშირებული საკითხის შესწავლის ისტორია ნაკვლევი და გადმოცემულია სრულყოფილად, დეტალურად, უდიდესი გულმოდგინებით. იოტისოდენა წვლილიც კი არა არის ყურადღების მიღმა დარჩენილი როგორც ქართველ პროზაიკოსთა, ასევე ლინგვისტ-ონომასტიკოსთა – სერგი მაკალათიასი, ალექსანდრე ღლონტისა, პაატა ცხადაიასი, ქეთევან გოდერძიშვილისა, უშანგ სახლთხუციშვილისა, ელენე კოშორიძისა... უდავოდ საყურადღებოა, რომ მათი წვლილი და ღვაწლი წარმოჩენასთან ერთად შეფასებულია სრულიად ახლებურად, მიმზიდველად, მწერლურად, გემოვნებით, შესაშური ოსტატობით...

ციტატები სარეცენზიო წიგნიდან: მოგეხსენებათ, სახელი ხშირად არ შეეფერება ადამიანს. ეს გარემოება საფიქრალად გადაქცეოდა **ვასილ ბარნოვს:** სახელი ხომ უბრალო წოდებაა, მაგრამ ამასაც შერჩევა უნდა, სჯობია, თვითონ აირჩიოს ადამიანმა თავისი სახელი. **ტარიელ ჭანტურიასაც** არაერთხელ გაუმეორებია სიცილით: ადამიანი ვიდრე ოცი წლისა არ გახდება, სახელი არ უნდა დაარქვაო. აი, ზედმეტი სახელის მორგებისას კი გამორიცხულია ყოველგვარი ცთომილება და, რა გასაკვირია, რომ ხშირად ხასიათის არსებით თვისებას მიგვანიშნებდეს, ბიოგრაფიული ეპიზოდიც შეიძლება იქცეს მეტსახელის ბიძგად, გარეგნობა ხომ თავისთავად... რაც ნამდვილ სახელს ვერ უტვირთია, აგერ მეტსახელს გამოუხატავს იშვიათი სიზუსტითა და მოხდენილობით, ხოლო „უცნაურობა“ კი იმას უნდა გულისხმობდეს, რასაც ზემოთ ამოურწყავი სალარო ეწოდა, ენის ხატოვანების, მეტაფორულობის, იუმორის კიდევ ერთი გამჟღავნება და დასტური.

მეტსახელები გავრცელებულია და გვხვდება თითქმის მთელ საქართველოში სხვადასხვა სახელწოდებებით: თიკუნი, სახინჯარი, კილო, სახელებული, ბუნი, მირქმეული სახელი... მაგრამ როგორც ონომასტიკურ ლიტერატურაშია შენიშნული, ყველაზე ხშირია კახეთში, სადაც მეტსახელის შერქმევის შიში ერთგვარ **აღმზრდელობით მომენტსაც შეიცავდა. მეტსახელის შიში ადამიანს აიძულებს საზოგადოებაში თავი არ შეირცხვინოს, რაიმე უკადრისი არ ჩაიდინოს,** ცუდი სიტყვა არ წამოსცდეს, თორემ ხელათ მოუძებნიან დამამცირებელ ეპითეტს, რასაც ვერც თვითონ მოიცილებს და ვერც **მისი შთამომავლობა.** ეს ხომ თვით **მეტსახელის სპეციფიკაა,** მისი ერთ-ერთი ასპექტი თუ დანიშნულება.

წიგნში მრავლადაა ასეთი შთამბეჭდავი, საგულისხმო, დასამახსოვრებელი აბზაცები და ციტატები, ამიტომაც მკითხველი ძალაუნებურად ხდება თანამზრახველი ავტორის იდეებისა ეგებ კიდეც მოენდომებინა, **„თვალადური ქართულის ჭაშნიკივით შეედგინა ქართულ მეტსახელთა ჭაშნიკიც, საკითხავად გულთმაამი, მომხიბლავი, სახალისო სამყაროს ათასფერადობით...“**

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲛᲐᲠᲒᲘᲐᲜᲘ

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲙᲔᲠᲕᲐᲚᲨᲕᲘᲚᲡ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲣᲣᲐᲠᲓᲔᲑᲐ!

ᲡᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲚᲝ კომპანია „ცენტრ პოინტის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის **რუსუდან კერვალიშვილის განცხადებით, იგი მოხარული იქნება, თუ მას პატიმრობას შეუფარდებენ.**

ამის შესახებ კერვალიშვილმა ჟურნალისტებს თბილისის საქალაქო სასამართლოში განუცხადა, სადაც ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს საქმის განხილვა მიმდინარეობდა.

აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულად მაია რჩეულიშვილი, რუსუდან კერვალიშვილი და ივანე ცაგურია არიან მიჩნეული. სამივე მათგანს გამოძიება 11 მილიონ ლარზე მეტის მითვისებაში ადანაშაულებს.

ᲛᲧᲘᲜᲕᲐᲠᲬᲕᲔᲠᲖᲔ ᲠᲣᲡ ᲛᲗᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚ ᲥᲐᲚᲡ ᲔᲫᲔᲑᲔᲜ

ᲣᲙᲕᲔ მეორე დღეა, მყინვარწვერზე რუს მთამსვლელ ქალს ეძებენ. ის მყინვარწვერზე ორ ალპინისტთან ერთად იმყოფებოდა, რა დროსაც მეხი ჩამოვარდა და გაუჩინარდა. ჯგუფის დანარჩენი ორი წევრი დაშავდა. ისინი მყინვარწვერიდან მაშველების დახმარებით უკვე ჩამოიყვანეს. დაკარგული მთამსვლელი ქალის სამძებრო სამუშაოებში სამაშველო სამსახური და ალპინისტთა ჯგუფია ჩართული.

ფეხბურთი

მორიგი გაჩერება – ბალკანეთი

როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისის „დინამომ“ უპრობლემოდ შეინარჩუნა ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის პირველ შეხვედრაში სომხურ „ალაშკერტთან“ საკუთარ მინდორზე მოპოვებული სოლიდური უპირატესობა (2:0) და შემდეგ ეტაპზე ბალკანური წინაღობის გადასალახავად ბრძოლა ხორვატ თანაკლუბებსა და მაკედონიურ „ვარდარს“ შორის გამარჯვებულთან მოუწევს. მათი პირველი მატჩი ზაგრების „დინამომ“ მოიგო — 2:1.

ერევანში ამ დღეებში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გათვალისწინებით, გამორიცხული არ იყო, რომ საპასუხო თამაშის ჩაშლის საფრთხე წამოჭრილიყო, მაგრამ საბედნიეროდ ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა და საბოლოოდ ჩვენთვის მომგებიანი ზავიც გაფორმდა — 1:1. სტუმართაგან გოლი ჯიღაურმა გაიტანა.

გიორგი შოთაძე

მხატვრული ტანვარჯიში

ჯილდოები ორ ასაკში გათამაშდა

მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საქართველოს ჩემპიონატი ორ ასაკში გაიმართა. უფროსებში სხვადასხვა მიზეზით სამმა წამყვანმა სპორტსმენმა ვერ იასპარეზა: ნინია როხვაძემ, ელინა ვალიევამ და რიოს ლიცენზიატმა სალომე ფაჟავამ, რომელიც ოლიმპიადისთვის სპეციალური პროგრამით ემზადება. შეჯიბრებაში განსაკუთრებით ნათელა ბოლატაევამ იყოჩაღა, რომელმაც მრავალჭიდსა (69,0) და სამი საგნით — ბურთით (17,75), რგოლითა (17,3) და გურზებით (17,95) ვარჯიშში ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. ბაფთით ვარჯიშში ყველას აჯობა სალომე ურუშაძემ (16,75), რომელსაც მრავალჭიდში (65,45) ვერცხლის მედალი ხვდა.

ახალგაზრდებში უძლიერესი იყო თამარ ხელაძე — იგი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა მრავალჭიდში (62,55), რგოლითა (16,15) და ბურთით (15,95) ვარჯიშში, ხოლო მრავალჭიდის ვერცხლის პრიზიორი (61,65) ნატალია თაბაგარი გურზებითა (16,45) და სახტუნაოთი ვარჯიშში (15,9) გამოირჩა.

ლაშა დიდია

ნათელა ბოლატაევა

ოლიმპიური ჩემპიონი

კერპების მსხვრევა ნიკეაში

— დი-მას! დი-მას! დი-მას! — ზანზარებდა „ნიკეას“ ექვსიათასიანი სპორტის სასახლე.

ტრიბუნები საბერძნეთის დროშების ტყეს დაეფარა.

ელინთა კერპია პიროს დიმასი — მასპინძლები მისგან მეოთხე ოლიმპიურ „ოქროს“ ელიან, გამაყრუებელი ყიჟინითა და შეძახილებით ამხნევებენ.

წარმოშობით ალბანელ სპორტსმენს თორმეტი წელიწადია, წარმატებები მოაქვს ელადისთვის. ოლიმპიური თამაშების სამგზის (ბარსელონა, ატლანტა, სიდნეი) გამარჯვებული ისევ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სურთ იხილონ. თუმცა, შიში აქვთ — მრისხანე მეტოქეები ჰყავს პიროსს: რუმინელი მსოფლიოს ჩემპიონი ვალერიუ გალანჩეა, მსგავსი შეჯიბრების ვერცხლის პრიზიორი ჩინელი აიჯუნ იუანი, ბელარუსი ალექსანდრ ონიშჩენკო, კორეელი იონგ ჩიკ სონგი. ბერძნულის მცოდნე ქართველები მითარგმნიან, თუ რას ჩურჩულებენ ჩემ ზურგს უკან მსხდომი მასპინძლები: „ნიკეას“ დარბაზს „გეორგიელი“ გიორგის ეშინია ყველაზე მეტად.

სიდნეიში პიროს დიმასმა ასანიძეს მხოლოდ პირადი წონით (ორივემ ორჭიდში 385 კგ დაძლია) აჯობა. 2002 წელს ვარშავის მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველმა ძალოსანმა ერთ-ერთი მოძრაობისას მხარი დაიზიანა. მწვრთნელისა და ექიმების წინააღმდეგობის მიუხედავად, უდრეკი ჭაბუკი მაინც გავიდა ფიცარნაგზე და თითქმის ცალი ხელით მოიხვეჭა ვერცხლის მედალი.

მძიმე ოპერაცია გადაიტანა გიამ. სხვა, ალბათ, საბოლოოდ დაემშვიდობებოდა აქტიურ სპორტს. ის კი არ გატყდა — ასე იოლად არ დანებდა ბედისწერას. პირად მწვრთნელ ივანე გრიქუროვთან ერთად ჯიქურ მიიწევდა კვარცხლბეკისკენ.

... და კვლავ „ნიკეას“ დარბაზი. მაყურებელთა გუგუნში ნელ-ნელა იმსხვრევა იმედები, კერპები ბრძოლის ველს ტოვებენ უსახელოდ.

ღიმილი არ შორდება გიორგი ასანიძეს სახიდან. თანდათან უმატებს „სიჩქარეს“. მესამე ჯერზე 180 კილოგრამი უნდა აიტაცოს, მაგრამ... შტანგა ხელიდან უსხლტება. გაკვირვებულია ათლეტი, თავის ქნევით გადის სარბიელიდან.

ვანო გრიქუროვი: ბერძნებმა გვიმუხთლეს — ფიცარნაგიდან ჩამოსულ გიას ხელისგულები სველი ჰქონდა: სიმძიმის გამოცვლისას მასპინძლებს შტანგის ღერძი („გრიფი“) დაუსველებიათ...

ეშმაკობამაც ვერ უშველა ელინთა კერპს — მან 175-კილოგრამიანი შტანგა აიტაცა, 202,5 კილოგრამი აკრა და 377,5 კილოგრამით მხოლოდ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ბოლო ცდის შემდეგ დიმასმა ფეხსაცმელი გაიხადა და ფიცარნაგის კუთხეში დააწყო — ამით გულშემატკივრებს აუწყა, სპორტული კარიერა დავამთავრეო.

კვლავ იქუხა დარბაზმა, დაინგრა ტრიბუნები. დიდხანს არ შეწყვეტილა ოვაცია. სარბიელს ორნი შემორჩნენ: გიორგი ასანიძემ 205 კგ აკრა და ორჭიდში 382,5 კილოგრამით დაწინაურდა. მხოლოდ ჩინელ იუანს შეეძლო დაწევა. ისიც „ვა-ბანკზე“ წავიდა — მეორე ცდაზე 215 კილოგრამი შეუკვეთა (როგორც შემდეგ შევიტყვეთ, იგი ასანიძეზე ოდნავ მსუბუქი ყოფილა). ვერც მესამე ცდაზე დაძლია ჩინელმა ეს წონა და 372,5 კილოგრამით მე-5 ადგილზე გავიდა. ვერცხლის მედალი 22 წლის ბელარუსმა ანდრეი რიბაკოვმა მოიპოვა. ჩემპიონობა გიორგი ასანიძეს ხვდა. ეს მოხდა 2004 წლის 21 აგვისტოს.

გიორგი ასანიძე 1975 წლის 30 აგვისტოს დაიბადა საჩხერეში. 10 წლისამ გოგი თოდაძესთან დაიწყო ძალოსნობაში ვარჯიში. 1991 წლიდან ვანო გრიქუროვის ხელმძღვანელობით იმაღლებდა ოსტატობას. 1992 წელს მსოფლიოს თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპზე მესამე იყო. 1994-1995 წლებში ახალგაზრდების ევროპის პირველობებზე ვერცხლის მედლები დაიმსახურა. 1995 წელს მსოფლიოს პირველობის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მერე იყო სამწლიანი განშორება შტანგასთან.

1998 წელს ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა — „ოქრო“ პირადი წონით დათმო ბულგარელ ზლატან ვანევთან. იმავე წელს მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. 1999 წელს მცირე „ვერცხლი“ ხვდა ატაცში მსოფლიოს ჩემპიონატზე. 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე ორჭიდში ოქროს მედალი მოიპოვა ატაცში მსოფლიოს რეკორდით. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე 385 კილოგრამი დაძლია, ანუ იმდენი, რამდენიც ბერძენმა დიმასმა და გერმანელმა ჰუსტერმა. თუმცა, „ბრინჯაოს“ ვერ ასცდა — აქაც პირადმა წონამ დაალალატა.

2001 წელს სლოვაკეთში ევროპის ჩემპიონატზე ყველას აჯობა, ანტალიაში კი ძალოსანთა მსოფლიო ფორუმზე 28-წლიანი შესვენების შემდეგ საქართველოს სპორტულ ყულაბას სამი „ოქრო“ შესძინა: მრავალჭიდში (390), ატაცსა (180) და აკვრაში (210).

პირადმა წონამ 2002 წელსაც არ მისცა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლის საშუალება — ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ ვარშავის ფიცარნაგზე პლანეტის უძლიერეს ათლეტებთან ჭიდილში ატაცმა გიორგის ოქროს მედალი მოუტანა. ორჭიდში ბულგარელი ზლატან ვანევის (ისევ ის ბულგარელი) მსგავსად 385 კილოგრამი კი მოაგროვა, მაგრამ, რადგანაც მეტოქე უფრო მსუბუქი იყო, ოქროს მედალიც მას ხვდა. ასანიძე ვერცხლის ჯილდოს დასჯერდა, სამაგიეროდ, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე დაჩაგრა მეტოქეები.

— საქართველოში „ოქროს ხანა“ დაიწყო და თავს ბედნიერად მივიჩნევ, რომ ამაში ჩემი წვლილი შევიტანე, — თქვა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ პრესკონფერენციაზე გიორგი ასანიძემ. — ჩვენი გამარჯვებები ქართველ ხალხს ეკუთვნის, რომლის მორალური თანადგომა არასდროს მოგვკლებია.

— როდის იგრძენით, რომ ჩემპიონობა თქვენი იყო? — ჰკითხა გიორგის რუსმა კორესპონდენტმა.

— როცა კვარცხლბეკზე ოქროს მედალი ჩამომკიდეს.

— ბრინჯაოს პრიზიორ დიმასზე რას იტყვით? — ეს შეკითხვა მასპინძლებმა დაუსვეს ჩემპიონს.

წამიერი პაუზა. დარბაზი გაირინდა.

— პიროს დიმასი ბრინჯაოს პრიზიორი არ არის... იგი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონია და ასეთად დარჩება მარად.

მის პასუხს მქუხარე ოვაციით შეხვდნენ. კმაყოფილმა დიმასმა იქვე გადაკოცნა მეტოქე.

პრესკონფერენციაზე ჩემპიონს დოპინგზეც დაუსვეს შეკითხვა.

— მივესალმები იმ დაუნდობელ ბრძოლას, ბოლო დროს დოპინგის წინააღმდეგ რომ დაიწყეს. იგი სასიკეთოდ წაადგება როგორც სპორტის სახეობებს, ასევე მომავალი თაობის ზნეობრივად აღზრდის საქმეს. მერწმუნეთ, აქაც უპირატესობა კავკასიელებს გვექნება...

— იმ მძიმე ტრავმის შემდეგ, რაც ვარშავის მსოფლიოს ჩემპიონატზე მივიღე, ერთხანს მეეჭვებოდა, რომ ჩვეულ სპორტულ ფორმას აღვიდგენდი, — ახლა უკვე ჩემთვისაც მოიცალა ოლიმპიურმა ჩემპიონმა. — თურმე მონდომებას და საკუთარი ძალების რწმენას ყველაფერი შესძლებია. ოპერაციამ და აღდგენითმა პროცესმა ნორმალურად ჩაიარა, არც თავდადებული გარჯა ჩამეყარა წყალში. ბედნიერი ვარ, რომ ოლიმპიური ჩემპიონობა მოვიპოვე და ჩემი ხალხიც გავახარე.

— რას გრძნობდით იმ წუთებში, როცა თქვენ შემდეგ ფიცარნაგზე ავსტრალიელი სერგო ჩახოიანი და ჩინელი აიჯუნ იუანი გადიოდნენ?

— სიდნეიში მეტოქეებს გამარჯვების შანსი მივეცი და პიროს დიმასმა იგი ჩინებულად გამოიყენა. მსგავსი რამ ათენშიც განმეორდა, თუმცა, ამჯერად ჩემთვის ყველაფერი კარგად დამთავრდა. საკუთარი გამოცდილებით, 207 კილოგრამი აუცილებლად უნ-

და ამეკრა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩემპიონობისთვის ბრძოლას დიმასი ჩამოშორდა, ეტყობა, საქმე მომთავრებულად მივიჩნიე და მოვდუნდი. კინაღამ დავისაჯე. მართალი გითხრათ, ჩახოიანის შესაძლებლობებს ვიცნობდი და მისი არ შემშინებია. რაც შეეხება ჩინელს, მას 215 კილოგრამზე მეტი წონაც ჰქონდა უწინ დაძლეული, მაგრამ ათენში სულ სხვა ვითარება იყო. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ოლიმპიური თამაშები ფიზიკურთან ერთად მძიმე ფსიქოლოგიური ჭიდილიც ყოფილა.

იმ ბედნიერი წუთებიდან 12 წელიწადი გავიდა. გიორგი ასანიძე ახლა საქართველოს ძალოსანთა ნაკრების მთავარი მწვრთნელია. ამიტომ ქომაგებს, ალბათ, ისიც დააინტერესებთ, ვის გაუძღვება ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული რიოს ფიცარნაგისკენ.

— ოლიმპიადაზე სამკაციანი გუნდით გავემგზავრებით, — გვითხრა გიორგიმ. — სამივე ათლეტი ტიტულოვანია: ლაშა ტალახაძემ (მძიმე წონა) შარშან მსოფლიოს, წლეულს კი ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, თანაც ატაცში კონტინენტის რეკორდით. ირაკლი თურმანიძე (მძიმე წონა) 2015 წელს გახდა ევროპის ჩემპიონი. რაულ ცირეკიძემ (94 კგ) მსგავს წარმატებას 2012 წელს მიაღწია. ირაკლი და რაული გამოცდილები არიან - მესამედ მოსინჯავენ ოლიმპიურ ფიცარნაგს, ლაშა კი თამაშების დებიუტანტია. სამივე სპორტსმენისგან მედლებს ველით. არ არის გამორიცხული, ერთ-ერთი ჯილდო უმაღლესი სინჯისაც იყოს...

ვაჟა დანელია

◎ თაობა

თურქეთიდან – თერთმეტი მედლით

1972 წელს შეიქმნა საერთაშორისო სასკოლო სპორტის ფედერაცია(ISF), რომელიც ორ წელიწადში ერთხელ მსოფლიო სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებსა (გიმნაზიადებს) და ყოველწლიურად მსოფლიოს ჩემპიონატებს ატარებს მოზარდებისთვის ხელმისაწვდომ სპორტულ სახეობებში... საქართველო ამ დიდ ფერხულში 2014 წელს ჩაება, რაც ქართველ მოზარდებს აძლევს შესაძლებლობას, საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლის გამოცდილება შეიძინონ.

ამას წინათ თურქეთმა ISF-ის ეგიდით მორიგ მსოფლიო სასკოლო სპორტულ ოლიმპიადას უმასპინძლა. სპორტსმენ მოსწავლეთა ამ დიდ ფესტივალში 25 ქვეყნის 3000-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა. ჩვენთვის სადებიუტო ოლიმპიადაში (სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ხელმძღვანელი კონსტანტინე ამირაჯიბი) 14-მა გოგონამ და ვაჟმა იასპარეზა, რომლებიც სამშობლოში 11 მედლით დაბრუნდნენ. ქართული სპორტის ისტორიაში მსოფლიო სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პირველი ოქროს მედლები კარატისტმა ანრი ბიწკინაშვილმა და ძიუდოისტმა სოფიო სომხიშვილმა მოიპოვეს. მხოლოდ გადამწყვეტი პაექრობები დათმეს და მეორე ადგილებზე გავიდნენ ოთარ ანთაძე, თამუნა თურმანიძე, ვიტალი კუჩერენკო, ნიკიტა ბელიავსკი (ოთხივე-კარატე), ბექა გურული (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) და თორნიკე კვინიკაძე (თავისუფალი ჭიდაობა). საგულისხმოა, რომ კვინიკაძემ ნახევარფინალში ტრავმა მიიღო და ფინალში საჭიდაოდ არ გასულა ხალიჩაზე. ჩვენი ნაკრებიდან თენგიზ თედიაშვილს, შოთა აბუაშვილსა (ორივე-კარატე) და ლევან ჭელიძეს (ძიუდო) ბრინჯაოს მედლები ერგოთ.

საქართველოში პირველი სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2015 წელს გაიმართა. წლეულს მსგავსმა ღონისძიებამ გეოგრაფიულად მთელი საქართველო მოიცვა – სხვადასხვა რეგიონის 1200-ზე მეტი საჯარო და კერძო სკოლის 60 000-ზე მეტი მოსწავლე, 6 ათასი პედაგოგი და 1000-ზე მეტი მშობელი მონაწილეობდა. უკვე გამოვლინდნენ ოლიმპიადის ჩემპიონები სპორტის სამ სახეობაში: ფრენბურთში

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ სოფელ მაღლაკისა (წყალტუბო, ვაჟები) და ბოლნისის (გოგონები) პირველი საჯარო სკოლები, ხელბურთში – თბილისის 161-ე (ვაჟები) და ფოთის (გოგონები) მე-2, ბადმინტონში – თბილისის (ვაჟები) 98-ე და ქუთაისის (გოგონები) 21-ე საჯარო სკოლები. თვის ბოლომდე ანაკლიის „მომავლის ბანაკში“ გამარჯვებულები და პრიზიორები მინი-ფეხბურთში, 3X3-ზე კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, მძლეოსნურ გეზრბენსა (კროსი) და სპორტულ-შემეცნებით ოლიმპიადაში გამოვლინდებიან.

ლექსო ცინცაძე.

◎ მომსახურება

დაგვიბრუნდება „საფოსტო ყუთები?“

საქართველოში შესაძლოა, „საფოსტო ყუთების“ გამოყენების პრაქტიკა დაბრუნდეს. გამოცემა „მარკეტერი“ ამასთან დაკავშირებით სპეციალურ სტატიას აქვეყნებს, სადაც საუბარია, რომ საფოსტო ყუთებზე ბევრს საბჭოთა კავშირი და „წარსული“ ახსენდება, მაგრამ მას ეფექტურად იყენებენ განვითარებული ქვეყნები. გამოცემა დაინტერესდა, რა გეგმები აქვს ამ მიზნით „საქართველოს ფოსტას“.

იქ განმარტავენ, რომ ყუთების დამონტაჟების პროექტი მათთვის პრიორიტეტულია, თუმცა მისი განხორციელება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

„ეს პრობლემა ჩვენს დღის წესრიგში დგას, რადგან ჩვენთვისაც გაცილებით მარტივი იქნება მუშაობა და მოსახლეობასაც გაუმარტივდება საჭირო ინფორმაციის მიღება ფოსტის საშუალებით. სამწუხაროდ, ეს რთულად განსახორციელებელი პროექტია და ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული,“ – განაცხადა „საქართველოს ფოსტის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნია ქირიამ.

„ჯორჯია თუდეი ჯგუფის“ აღმასრულებელი დირექტორის მაია წერეთლის თქმით, საფოსტო ყუთების დაყენება კარგი ინიციატივა იქნებოდა და შესაძლოა, ჟურნალ-გაზეთების გამოწერაც დაეწყო მკითხველს.

პრესისა და წიგნების ონლაინ მაღაზია Elva.ge-ს დირექტორის ჯუალი ჭელიძის განცხადებით, კომპანია თავად აპირებს მოსახლეობისთვის ამ სერვისის შეთავაზებას: **„მე საფოსტო ყუთების მომხრე ვარ. ჩვენ თავად ვაკეთებთ საფოსტო ყუთებს და ვაპირებთ, მოსახლეობას შევთავაზოთ.“**

რამდენიმე ახალაშენებულ კორპუსში უკვე გამოჩნდა საფოსტო ყუთები. m^2-მა აღადგინა ძველი ტრადიცია და იპოდრომთან აშენებული საცხოვრებელი კომპლექსის ყველა სადარბაზოში ბრენდირებული საფოსტო ყუთები დაამონტაჟა.

საფოსტო ყუთების საჭიროებას ვერ ხედავენ „სითი პარკში.“ „სითი პარკის“ წარმომადგენლის ლევან ტაბიძის თქმით, ამის აუცილებლობა მათ არ აქვთ: „ჩვენ არ ვარიგებთ წერილებს, არიგებენ ჩვენი კონტრაქტორი საფოსტო კომპანიები. ჯარიმებს ჩვენ ხელზე ვაბარებთ და საფოსტო ყუთში წერილის დატოვება არ იქნება მიზანშეწონილი. ამავე მეთოდით, ჯარიმა მძღოლებს საქარე მინაზეც ხვდებათ.“

მარკეტერი შსს-საც დაუკავშირდა კითხვით, თუ რამდენად მოსახერხებელი იქნებოდა მათთვის საფოსტო ყუთების გამოყენება, თუმცა სამინისტროს რთული ბიუროკრატიული სისტემიდან გამომდინარე, ოფიციალური წერილის გაგზავნა მოითხოვეს.

marketer

ბათუმში ცხენი „დააპატიმრეს“, ხელვაჩაურში კი - ძროხები!

ბათუმში ცხენი „დააპატიმრეს“. როგორც სანდასუფთავების სამსახურში განმარტავენ, ბაგრატიონის და ლერმონტოვის კვეთაზე დაჭერილია უპატრონოდ მოხეტიალე ცხენი, რომელიც გადაყვანილია ადლის ტერიტორიაზე მდებარე სადგომზე.

ასევე ხელვაჩაურის გამგეობის ეზოში დაიჭირეს 2 ძროხა, რომლებიც გადაიყვანეს ადლიის სადგომზე.

სანთელი

სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კვლევის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ღვაწლმოსილი ექიმის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, ქალბატონ

კლარა მეშველიანის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ოთარ ბრეგვაძე, ვახტანგ ვეფხვაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

სანდრო ქოიავას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემია და შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიის საპატიო წევრი

ვადიმ სააკაძე

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რედაქციის ყოფილი თანამშრომელი, წამყვანი სამეცნიერო რედაქტორი

მარინა მარი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი ღვაწლმოსილი კოლეგის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის გივი ჩიქვინიძის მეუღლე

ნაზი კიწმარიშვილი-ჩიქვინიძისა

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საპარტნიორო ფონდს ჩინელი ბიზნესმენები ეწვივნენ

საპარტნიორო ფონდს ჩინეთის უმსხვილესი საინვესტიციო ფონდი China-Eurasian Economic Cooperation Fund-ის წარმომადგენლები ეწვივნენ. შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობები და ბიზნესგარემო განიხილეს. თავის მხრივ, China-Eurasian Economic Cooperation Fund-ის წარმომადგენლებმა საპარტნიორო ფონდის მენეჯმენტს ჩინური ფონდის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა China-Eurasian Economic Cooperation Fund-ის პირველ პირებს ფონდის მანდატი, ფუნქცია და პრიორიტეტები გააცნო. ჩინური ფონდი საპარტნიორო ფონდის მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტებით დაინტერესდა. შეხვედრაზე მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. China-Eurasian Economic Cooperation Fund-ის წარმომადგენლებმა საპარტნიორო ფონდის პროექტებში ფინანსური თანამონაწილეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის სურვილი გამოთქვეს.

სამეგრელოში თხილის ახალი ბაღი გაშენდა

სამეგრელოს რეგიონში ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში ახალი თხილის ბაღი გაშენდა.სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს აგროპროექტ „დანერგე მომავალი“ მენეჯერმა ლევან დოლიძემ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სამეგრელოს რეგიონში, აბაშის რაიონის სოფელ მარანში პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარის ონისე გელენიძის 18 ჰექტარზე გაშენებული თხილის ბაღი დაათვალიერა.

ონისე გელენიძე პროგრამაში 2016 წელს ჩაერთო. ბაღის გაშენებისა და სარწყავი სისტემების მოწყობისთვის მან 56,678 ლარი მიიღო, მიღებული დაფინანსებიდან 11,678 ლარი ნერგებისთვის, ხოლო 45,000 ლარი წვეთოვანი სისტემებისთვის იყო განკუთვნილი.სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აგროპროექტ „დანერგე მომავალის“ ფარგლებში ხეხილის ბაღები 220 ჰა მიწის ფართობზე გაშენდა.

მთელი საქართველოს მასშტაბით ახალი ხეხილის ბაღების გაშენებული ფართობი დღეის მონაცემებით შეადგენს 1,438 ჰა-ს, ხოლო დაფინანსების მოცულობა 7,4 მილიონ ლარს აღემატება.

„რაჭა, ჩემო სიყვარულო“ რიმეიკი

ბრიტანულ-სლოვაკური საინვესტიციო ფონდის InfraPartners Management-ის დაფინანსებით, შესაძლოა 20 წლის შემდეგ, მხატვრული ფილმის „რაჭა, ჩემო სიყვარულო“ ახლებური ვერსია გადაიღონ. InfraPartners Management-მა გასულ კვირას საპარტნიორო ფონდთან ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმა. ბრიტანულ-სლოვაკური საინვესტიციო ფონდი საქართველოში ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში ერთობლივი საინვესტიციო პროექტების განხორციელებას გეგმავს.

მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიაზე InfraPartners Management-მა ცნობილი ქართული მხატვრული ფილმის „რაჭა, ჩემო სიყვარულო“ ახლებური ვერსიის გადაღების დაფინანსების სურვილი გამოთქვა, ბრიტანულ-სლოვაკური საინვესტიციო ფონდი ინიციატივის განხორციელების შემთხვევაში პროექტს ჰოლივუდის სცენარისტებს დაუკვეთავს.

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი დავით საგანელიძე სლოვაკური კომპანიის ინიციატივას მიესალმება და თუკი InfraPartners Management-ის იდეა კომერციული პროექტის სახეს მიიღებს და ქვეყნისთვის მომგებიანი პროდუქტი გახდება, არ გამორიცხავს ფონდი პროექტის დაფინანსებაში ჩაერთოს.

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 23 ივლისს.

ფულის მოყვარული თაგუნია

ესტონეთის დაცვის ფირმის „ფალკის“ პრესსამსახურის ცნობით, ერთხელ ინკასატორებმა ბანკომატის სეიფში... დაღრღნილი კუპიურები ნახეს, ფულის კასეტიდან კი შრაშუნი მოესმათ.

წარმოიდგინეთ მათი გაკვირვება, როცა ბანკში კასეტა გახსნეს და შიგნით... ჩვეულებრივი წრუწუნა აღმოაჩინეს! დანარჩენი წვრილმანების გამხელაზე „ფალკის“ წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს.

პროფესიონალების განმარტებით, მსგავსი რამ შეუძლებელია, პრინციპში — ფულის გადაზიდვა და კასეტების შენახვა უსაფრთხოების უმკაცრესი ზომების დაცვით ხდება. უფრო სწორად კი უნდა ხდებოდეს...

შთამომავლობის მოლოდინში

კანადელ მეცნიერთა მტკიცებით, მეუღლეების ფეხმძიმობის პერიოდში, მამაკაცებმაც, შესაძლოა, მათსავით დეპრესიის სიმპტომები განიცადონ.

მკვლევარებმა 622 მომავალი მამის ფსიქოლოგიური მდგომარეობა გააანალიზეს, რომლებმაც ონლაინ-ანკეტებში თავიანთი ფიზიკური აქტივობის, ძილის ხარისხის, ოჯახური ურთიერთობებისა და ოჯახური ფინანსების შესახებ კითხვებზე უპასუხეს. შემდგომ სპეციალისტებმა მეუღლეების ფეხმძიმობის დასაწყისში და მისი დასრულების შემდეგ მიღებული მონაცემები შეადარეს. გამოკითხულთა 13 პროცენტს მეუღლეთა ორსულობასთან დაკავშირებული დეპრესიის ნიშნები აღმოაჩნდა, თუმცა კი, მთლიანობაში, ნერვულ დაძაბულობას ცოლებზე უკეთ უმკლავდებოდნენ.

ამუნიასთან ჩახუტებით

ფინეთის ქალაქ ტურკუს უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ შინაურ ცხოველებთან ურთიერთობა ბავშვების კუჭ-ნაწლავის მიკროფლორას ამდიდრებს და მათ იმუნურ სისტემას აძლიერებს.

ექსპერიმენტში 115 ბავშვი მონაწილეობდა, რომელთაგან 51 მუდმივ შეხებაში იყო ძაღლთან, კატასთან და ბოცვერთან, დანარჩენი 64 კი ცხოველებთან კონტაქტში მხოლოდ დაკვირვების პერიოდში შედიოდა.

აღმოჩნდა, რომ ცხოველებთან მუდმივ კონტაქტში მყოფ ბავშვებს, სხვებთან შედარებით, კუჭ-ნაწლავში 14 პროცენტით უფრო მეტი ბიფიდობაქტერია აქვთ. ექვს თვემდე პატარებს საკვების ალერგიაზე ტესტი ჩაუტარეს, რის შედეგად გაირკვა, რომ ცხოველებთან მუდმივად ურთიერთობის მქონე ბავშვებს ალერგენების საწინააღმდეგო იმუნიტეტი გაცილებით ძლიერი აქვთ.

ამიტომ ახლა პედიატრები მშობლებს ურჩევენ შინაური ცხოველების ყოლას იქ, სადაც პატარა ბავშვები ცხოვრობენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყოველი ნომრის შეძენით თქვენ გადაარჩენთ 100 წლის „საქართველოს რესპუბლიკას“! გმადლობთ!

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

ანეკდოტები

— **უწინ** ჩემს ცოლს ღამე ნებისმიერ ფაჩუნზე ეღვიძებოდა და მეც მაღვიძებდა — სულ ეჩვენებოდა, რომ ბინაში ქურდები გვიძვრებიან.

— შენც მისთვის უნდა აგეხსნა, რომ ქურდები ხმაურს ერიდებიან და ყველფერს ჩუმად აკეთებენ.

— რომ იცოდე, ასეც მოვიქეცი. ახლა კი იგი მაშინაც მაღვიძებს, როცა ბინაში სრული სიჩუმეა!

* * *

მამაკაცები ძალიან მძიმე პირობებში, რთული ცხოვრებით ცხოვრობენ: უყვართ ერთი ქალი, ცოლად მოჰყავთ მეორე, სექსი აქვთ მესამესთან, თანაც ყოველ დღე სამსახურში უწევთ სიარული...

* * *

— **წუხელ** მეგობართან ვიყავი, ბიჭებმა დრო, რომ იტყვიან, შინაარსიანად გავატარეთ, მაგრამ მერე წამოსვლა გამიჭირდა, რადგან გასასვლელი კარი ვერ ვიპოვე. მერე, როგორც ჩანს, მაინც მივაგენი, მაგრამ სახლში რატომ მოვიტანე, ეგ აღარ მახსოვს...

* * *

— **ძვირფასო**, თუკი კვლავაც ამ ტემპით განაგრძობ მოდური ჭინჭების ყიდვას, მალე ერთი თეთრიც აღარ დაგვრჩება, — ეუბნება ქმარი ცოლს.

— ეგ სულაც არ მადარდებს, ჩემო კარგო! მე შენ სიყვარულით გამოგყევი და არა ფულის გულისთვის!

* * *

— **ბოლო** ორი დღეა, რაც სამყარო შევიცანი კიდეც და დავიპყარი კიდევაც!

— გეყოფა, ახლა ჭიჭიკია, გევიდა შაბათ-კვირა, დღეს ორშაბათია, მოკიდე თოხს ხელი და შეუდექი თოხნას!

ყურადღება!

„ლიტერატურული ბაზრობა“

თქვენი პუბლიკაცია ჩვენს გაზეთში!

„საქართველოს რესპუბლიკა“ იწყებს ნაწარმოებების მიღებას ახალ საინფორმაციო-სარეკლამო პროექტ „ლიტერატურულ ბაზრობაში“ მონაწილეობისათვის.

ვიწვევთ პოეტებს, პროზაიკოსებს, დრამატურგებს, პუბლიცისტებს, რომლებსაც სურთ, გამოაქვეყნონ თავიანთი ნაწარმოებები „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე, განათავსონ ინფორმაცია ახალი წიგნის გამოსვლის თაობაზე. ასევე შესაძლებელია ობიექტური რეცენზიების პუბლიკაცია (რომლებიც არ შეიცავენ ესთეტიკურ შეფასებებს). ავტორებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა არა მხოლოდ გამოაქვეყნონ თავიანთი ნაწარმოებები უძველესი და ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული გამოცემის ფურცლებზე, არამედ მიიზიდონ გამომცემელთა და კრიტიკოსების ყურადღება, გახადონ უფრო მკაფიო თავიანთი ლიტერატურული ბედი.

„ლიტერატურული ბაზრობა“ გამოდის კომერციულ საფუძველზე, რაც ავტორს საშუალებას აძლევს თავად განსაზღვროს პუბლიკაციის მოცულობა.

შეფასებები მითითებულია „საქართველოს რესპუბლიკის“ საიტზე. ნაწარმოებები უნდა გამოიგზავნოს განყოფილებაში „ლიტერატურა“ ელექტრონულ მისამართზე sakresp@mail.ru შენიშვნით წერილის თემაზე „ლიტერატურული ბაზრობა“.

რა თქმა უნდა, მსურველებს შეუძლიათ, რომ რედაქციაშიც მობრძანდნენ.

ფასების ნიხრი ასეთია:

ლექსის სტრიქონი	— 1,5 ლარი,
მოთხრობის ერთი კომპიუტერული გვერდი	— 30 ლარი,
პიესის თითო კომპიუტერული გვერდი	— 20 ლარი,
პუბლიცისტური წერილის გვერდი	— 25 ლარი,
ცნობა ახალი წიგნის გამოსვლის თაობაზე	— 15 ლარი,
რეცენზიის ერთი კომპიუტერული გვერდი	— 25 ლარი.

შემოსული ნაწარმოებები დაიბეჭდება ყოველ შაბათს სპეციალური ჩანართის სახით.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.345; ევრო - 2.593;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.065;
100 რუბლი - 3.612; თურქული ლირა - 0.796;
აზერბაიჯანული მანათი - 1.493;
1000 სომხური დრამი - 5.831

ამინდი 20 ივლისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +14, დღე +29
მთიანი რაიონები - ღამე +11, დღე +28
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +16, დღე +30
მთიანი რაიონები - ღამე +13, დღე +29
თბილისი: ღამე +19, დღე +25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE